

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნათია სულავა

ქართული ენის ფაქტორი ეთნიკურ უმცირესობათა

სოციალიზაციის პროცესში

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კონფლიქტების
ანალიზისა და მართვის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია კონფლიქტების ანალიზისა და მართვის
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გუგული მალრაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019 წელი

ანოტაცია

*“ენა ცივილიზაციის საძირკველია, ქვაკუთხედი.
ის არის წებო, რომელიც ერთად კრავს ადამიანებს,
თუმცა, კონფლიქტის დროს
ის გვევლინება პირველ იარაღად“
(ფილმიდან, „ჩამოსვლა“ 2016)*

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია ქართული ენის როლი ეთნიკურ უმცირესობათა სრულყოფილ საზოგადოებრივ ინტეგრაციაში. კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების ენობრივი კომპეტენციები და ქართული ენის ცოდნის ფაქტორი მათი სოციალიზაციის პროცესში. შესაბამისად, ავტორი იკვლევს კავშირებს ეთნიკურ უმცირესობათა ენობრივ კომპეტენციებსა და იმ გზებს შორის, რომელსაც ისინი გადიან საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში, ასევე, ზოგადად ენას, როგორც კონფლიქტის მოგვარების ან გამომწვევის ფაქტორს.

ნაშრომში საუბარია სხვადასხვა თეორიულ მიდგომებზე, როგორც კონფლიქტოლოგიის, ისე სოციალური ინტეგრაციის, სოციალიზაციის და ენათმეცნიერების შესახებ. ასევე, ნაშრომში გამოკვეთილია ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ენის სწავლის მოთხოვნილების ფენომენზე, ენის გავლენას ინდივიდის სოციო-კულტურულ ცნობიერებაზე, უცხო ენაზე მოსაუბრე ადამიანისგან მტრის ხატის შექმნის ფენომენზე და იმ სოციალურ სტერეოტიპებზე, რომლებიც იწვევს კონფლიქტებს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანთა შორის. ლიტერატურის მიმოხილვასთან ერთად წინამდებარე კვლევა მოიცავს ისტორიულ მიმოხილვას, სახელმწიფო პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოს აღწერას.

ტექსტის მეორე ნაწილში მოცემულია ემპირიული კვლევის შედეგების ანალიზი, სადაც განხილულია საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობების ენობრივი კომპეტენციები და ენის შესწავლის ან არშესწავლის მოტივები, საქართველოს ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად არაქართველ მოქალაქეთა ურთიერთობის ტიპები და ფორმები, მათ შორის არსებული კონფლიქტების ტიპოლოგია მისი წყაროების (გამომწვევი მიზეზების) მიხედვით.

დასასრულს, შეჯამებულია კვლევის შედეგები, რომელიც გვიჩვენებს, რომ ინტერაქციისას ისეთი მახასიათებლები, როგორცაა ასაკი, სქესი, ეროვნება, ეთნიკურობა, ენობრივი კომპეტენცია და საზოგადოებაში გავრცელებული უარყოფითი შეხედულებები და სტერეოტიპები მართლაც ახდენს გავლენას კომუნიკაციის პროცესზე, რაც შემდეგ იწვევს კონფლიქტს განსხვავებული მშობლიური ენის მქონე ადამიანთა შორის.

ავტორი იმედოვნებს, რომ აღნიშნული საკითხით დაინტერესება და მისი უფრო სიღრმისეულად შესწავლა დადებით შედეგებს მოუტანს საზოგადოებას, რამდენადაც ეთნიკური უმცირესობების აღიარება, მათი სრულყოფილი საზოგადოებრივი ინტეგრაცია და მათი პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ჩართულობის საკითხი დაკავშირებულია საქართველოს, როგორც სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან, ასევე, ხელს უწყობს სოციალურ ერთობას და სახელმწიფოში აძლიერებს სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაციის პროცესს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *ენობრივი კონფლიქტები, სტერეოტიპი, ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობა, , ენობრივი კომპეტენციები, კონფლიქტები.*

Abstract

Natia Sulava

Georgian language as a factor in the process of socialization of ethnic minorities

*"Language is the foundation of civilization.
It is the glue that holds a people together.
It is the first weapon drawn in a conflict."
(From the movie, „Arrival“ 2016)*

The following Masters Thesis examines the role of the language into the thorough social integration for ethnic minorities. The aim of the research was to study linguistic competencies of Georgian citizens belonging to ethnic minorities and study language knowledge as a factor for their social integration process. Hence author studies the links between linguistic competencies of ethnic minorities and the ways they go through the social integration process. Also author studies the language as a factor in causing or resolving a conflict.

There is discussed various theoretical approaches of conflictology, social integration, socialization, linguistics in the thesis. Also the author emphasizes the factors influencing persons' intent to learn the language, influence of the language on a person's social-cultural consciousness, phenomena of inventing the enemy from the person who speaks unfamiliar language and social stereotypes causing conflict between people speaking different languages. Alongside with the literature review the research includes historical overview, descriptive analysis of state policies and legislative framework.

The second part of the work consist of empiric research analysis, discussing linguistic competences of Georgian citizens belonging to ethnic minorities, motivational and de-motivational factors to learn the language, types and forms of relations between ethnic Georgians and non-Georgians, typology of existing conflicts between them considering conflict sources (causes).

The thesis is finalized by the summary of research results which shows that such characteristics of the interaction as age, gender, nationality, ethnicity, linguistic competences, negative attitudes and stereotypes among the society really do influence on the communication process, resulting in conflicts between people having different mother languages.

The author hopes that exploring the issue and even deeper understanding of the topic can bring positive outcome for the society. As long as acknowledging ethnic minorities, their thorough social integration and their political, social and cultural integration is the matter of developing Georgia as a democratic state. All of this together support to social unity and strengthening the process of social integration.

Keywords: Linguistic conflicts, stereotypes, national (ethnic) minority, linguistic competencies, conflicts.

სარჩევი

1. შესავალი.....	6
1.1. პრობლემის აქტუალობა.....	6
1.2. მიზნები და ამოცანები.....	9
1.3. სამიზნე ჯგუფი და კვლევის მეთოდები.....	10
1.4. კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება.....	11
1.5. კვლევის შეზღუდვები.....	13
1.6. ეთიკური მხარე.....	14
2. ძირითადი ნაწილი.....	15
2.1. თეორიული მიმოხილვა.....	15
2.1.1 სოციალიზაცია.....	15
2.1.2. მულტიკულტურალიზმი.....	17
2.1.3. ეთნიკურობა.....	19
2.1.4. კულტურული რელატივიზმი, როგორც პასუხი ეთნოცენტრიზმზე.....	21
2.1.5. საერთო ენა, როგორც წესრიგი.....	23
2.1.6. ენა, როგორც ცნობიერების განმსაზღვრელი.....	25
2.1.7. მტრის ხატის შექმნა, როგორც იდენტობის განმტკიცება.....	26
2.1.8. იდენტობის დონეები.....	28
2.2. ისტორიული მიმოხილვა.....	31
2.3. ემპირიული კვლევის შედეგები.....	33
2.3.1. ზოგადი მიმოხილვა.....	33
2.3.2. კვლევის შედეგების შეჯამება.....	55
3. დასკვნა.....	57
4. რეკომენდაციები.....	60
5. გამოყენებული ლიტერატურა.....	61
6. დანართი.....	64

1.შესავალი

1.1. პრობლემის აქტუალობა

საქართველო მულტიკულტურული ქვეყანაა. ეს გამოწვეულია იმით, რომ საქართველო ისტორიულად ყოველთვის მრავალეროვანი, მულტიეთნიკური იყო, რასაც ადასტურებს ბევრი ისტორიული ფაქტი. ქართველები საუბრობდნენ ქართულის გარდა ხუთ სხვა ენაზე. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველოში ეთნიკურად ქართველები მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებთან და აქ კულტურულ მრავალფეროვნებას პატივს სცემდნენ (მე-11 საუკუნის ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი). მსგავსად ევროპის სხვა ქვეყნებისა, საქართველოს ჰყავს ტრადიციული ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე და მოსახლეობისაგან გასხვავებულ ენაზე საუბრობენ.

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 13,2 % ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. აქედან ყველაზე მეტი 6,3 % აზერბაიჯანული თემია (2014 წლის საყოველთაო აღწერა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური). წინამდებარე ნაშრომში შევეცდები სწორედ აზერბაიჯანული ჯგუფის ენობრივი კომპეტენციები შევისწავლო და განვსაზღვრო ქართული ენის როლი ამ ეთნიკური ჯგუფის საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში. ვფიქრობ, ეს საკითხი უმნიშვნელოვანესია საქართველოსთვის, რადგან ეთნიკური უმცირესობების აღიარება და მათი ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში არის სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა, რომელიც პირდაპირ კავშირშია საქართველოს, როგორც დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან.

საქართველოს უმცირესობის ინტეგრაციის პოლიტიკაში აზერბაიჯანული თემის საკითხი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ენის არ ცოდნაზე არ უნდა დავიყვანოთ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ენის ფაქტორი არის უმნიშვნელოვანესი ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ

აზერბაიჯანული თემის სოციალიზაციის პროცესის გაანალიზება სწორედ ამ ფაქტორის ახსნით გადავწყვიტე.

ყოველდღიური ცხოვრება ინტერაქციის გარეშე წარმოდგენელია, ინტერაქციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი კი არის ენა. სოციალური მეცნიერებების არაერთი წარმომადგენელი ენის კვლევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და განიხილავენ როგორც სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური, ასევე კონფლიქტოლოგიური კუთხითაც. 1980-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები დაინტერესებულნი არიან ენისა და დისკურსის როლით. კონფლიქტურ გარემოს საზოგადოებაში ხშირად გაუგებრობა, არასწორი ინტერპრეტაცია წარმოშობს, სწორედ ენის საშუალებით ამყარებს ადამიანი კონტაქტს სამყაროსთან და სწორედ ენა ზღუდავს სამყაროს შემეცნებას.

„ენას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ჩვენს სოციოკულტურულ ცნობიერებაზე და უფრო მეტი - ზოგ შემთხვევაში სავსებითაც განსაზღვროს იგი“ (Sapir–Whorf hypothesis, or Whorfianism): - სეპირ-უორფის ჰიპოთეზა ენათმეცნიერებაში ენის ფარდობითობის სახელითაა ცნობილი. (McAfee, Ch., 2004) ამ ჰიპოთეზის თანახმად სწორედ ენა განაპირობებს პიროვნების, მოსაუბრის აზროვნების ტიპს, თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს, დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელზეც ვსაუბრობთ და რომელზეც ვაზროვნებთ. ადამიანის ცნობიერება ყოველთვის არის განპირობებული ეთნიკურად, ენა არის ის, რისი საშუალებითაც ადამიანი კავშირს ამყავრებს სამყაროსთან და ასევე, სწორედ ენა უქმნის მას ბარიერებს სამყაროში. შეიძლება ითქვას, რომ სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად, ენა არის პიროვნების და კულტურული ჯგუფების მსოფლხედვის და მსოფლგაგების საფუძველი, რომელიც, ასევე, მოიცავს სოციალურ და კულტურულ სტერეოტიპებს და სტერეოტიპულ აზროვნებას, რაც შემდგომ კონფლიქტების, უთანხმოებების საფუძველი ხდება.

პრობლემები, რომლებიც განიხილება, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციოლოგიური ხასიათის, ხშირად რეალურად წარმოქმნილია ენობრივი კონფლიქტიდან.

სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი ხშირად გამოწვეულია ენობრივი (ლინგვისტური) კონტაქტის ხარვეზით.

სწორედ ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ენა შეიძლება გახდეს კონფლიქტის გაღვივების ან მოგვარების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ჩვენი კავშირები იწყება კომუნიკაციით, ენობრივი სიგნალით და როგორ გაგრძელდება დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ვამბობთ და როგორ ვამბობთ. წარმოთქმული სიტყვები შეიძლება იყოს როგორც პიროვნების უდიდესი აქტივი, ასევე მთავარი იარაღი.

სწორედ ამიტომ ქართული ენის როლი ვფიქრობ დიდია ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაციის პროცესში. სოციალიზაციის პროცესს ნებისმიერი ადამიანი გადის დაბადებიდან მთელი ცხოვრების მანძილზე. ის პერიოდი, როდესაც ადამიანი ენას ეუფლება, არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გარდამტეხი მის ცხოვრებაში, რადგან ენის საშუალებით ის ამყარებს კონტაქტს სამყაროსთან. ენას აქვს დიდი ძალა და მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა თუ ვინ ვართ და რითი ვართ დაკავებული. იქნება ეს პირადი ურთიერთობი, პროფესიული გარემო თუ პოლიტიკური სფერო, ენობრივი სიგნალები ცხადჰყოფს თუ როგორ ვართ განწყობილი ამა თუ იმ სიტუაციისადმი: - მშვიდობიანი, საბრძოლო თუ უბრალოდ გულგრილი განწყობით. ენა არ არის მხოლოდ ის, რასაც ვამბობთ, არამედ არის ის, როგორ ვამბობთ სათქმელს. ჩვენს მიერ წარმოთქმულ ერთსა და იმავე ფრაზას ინტონაცია სძენს რეალურ მნიშვნელობას, საზრისს. სწორედ ამიტომ არის შემთხვევები, როცა წერილობითი შეტყობინება, ვერ გადასცემს ადრესატს იმ განწყობას, რაც გვქონდა. ცალკეული სიტყვები ვერ იძენს იმ საზრისს, რაც გამიზნული იყო გადასაცემად. სრულ კონტექსტს ქმნის გამოყენებული სხეულის ენა, ინტონაცია და, რა თქმა უნდა, სიტყვები.

საქართველოს ეთნიკური უმცირესობების ცხოვრების წესის, ენობრივი კომპეტენციების, ქართულენოვან მოსახლეობასთან ურთიერთობის ტიპების შესწავლა და კონფლიქტების წყაროების გამოვლენა მნიშვნელოვანია, რადგან საქართველო არის მულტიეთნიკური სახელმწიფო და ეთნიკური უმცირესობების აღიარებისა და მათი პოლიტიკური,

სოციალური და კულტურული ჩართულობის საკითხი საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ეს პირდაპირკავშირშია საქართველოს, როგორც სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან.

1.2. მიზნები და ამოცანები

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა შეესწავლა საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების ენობრივი კომპეტენციები და ქართული ენის ცოდნის ფაქტორი მათი სოციალიზაციის პროცესში, თუ რა როლს ასრულებს ქართული ენის ცოდნა საქართველოს აზერბაიჯანული თემის სრულყოფილი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში.

მიზნის შესაბამისად დასახულია კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ❖ ქართული ენის შესწავლის მოტივის და ენობრივი კომპეტენციების გამოვლენა ეთნიკურ უმცირესობებში.
- ❖ სოციალიზაციის პროცესის შესწავლა და ქართული ენის როლის განსაზღვრა ეთნიკურად აზერბაიჯანელთა ცხოვრებაში.
- ❖ საქართველოს ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეთა შორის არსებული ურთიერთობის ტიპების და ფორმების გამოვლენა;
- ❖ საქართველოს ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეთა შორის არსებული კონფლიქტების წყაროების გამოვლენა და შესაბამისად, კონფლიქტის ტიპების ჩამოყალიბება.
- ❖ კავშირის დადგენა ენობრივ კომპეტენციებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- ❖ საკანონმდებლო და სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლა ეთნიკური პოლიტიკის მიმართულებით.

1.3. სამიზნე ჯგუფი და კვლევის მეთოდები

სამიზნე ჯგუფი

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოს მოქალაქე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა.

მონაცემების მოპოვების მეთოდები

მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულია თვისებრივი მეთოდოლოგიური მიდგომა და კვლევა მოიცავს თვისებრივი მეთოდების ტრიანგულაციას: დოკუმენტების ანალიზს, თვისებრივ სიღრმისეულ ინტერვიუებს (ინდივიდუალური და ჯგუფური).

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა კვლევის ამოცანებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა:

- ❖ არსებული კვლევები და ნაშრომები;
- ❖ სახელმწიფო დოკუმენტაციები და საკანონმდებლო აქტები;
- ❖ ეროვნული სტატისტიკა;
- ❖ სხვა რელევანტური ლიტერატურა.

კვლევის პროცესში ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- ❖ ეროვნული უმცირესობები;
- ❖ სფეროს ექსპერტები.

ინტერვიუების ჩატარების ადგილი: საქართველო: თბილისი, მარნეული, მარნეულის მიმდებარე სოფლები.

კვლევის ინსტრუმენტი: ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (გაიდლაინი-სადისკუსიო გეგმა)

შერჩევა

სამიზნე ჯგუფები კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე არ შერჩეულა. რესპონდენტების მოძიება მოხდა მიზნობრივი არაალბათური შერჩევის საფუძველზე, ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპით. ძნელია, ჩამოვაცალიბოთ ზუსტი წესები, რომელთა თანახმადაც ხდება მონაწილეების შერჩევა, რადგან თვისებრივი მეთოდებით მუშაობისას, არასდროს გვაქვს საქმე რეპრეზენტატულ შერჩევასთან. (ზურაბიშვილი, თ. 2006).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაწილეთა შერჩევა საკმაოდ მარტივი პრინციპით განხორციელდა: ვუკავშირდებით ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებებს (ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელი, რომლის ასაკი არის არაუმცირეს 18 წლისა და წინასწარ ვუთანხმდებით კვლევაში მონაწილეობასა და ჩატარების ადგილზე. შემდეგ ვთხოვთ მას, დაგვაკავშიროს მსგავსი მახასიათებლების მქონე ადამიანებს, თუკი იცნობს მათ.

1.4. კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულება

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განძია ჩვენი კულტურის, ენის მეცნიერული კვლევით ქართული საზოგადოება არ არის განებივრებული. ეს მაშინ, როცა ენისა და დისკურსის როლით 1980-იანი წლებიდან დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო ურთიერთობების თეორეტიკოსები. სოციალური მეცნიერებების არაერთი წარმომადგენელი ენის კვლევას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და განიხილავენ როგორც სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური, ასევე კონფლიქტოლოგიური კუთხითაც. საზოგადოებაში კონფლიქტურ გარემოს ხშირად გაუგებრობა, არასწორი ინტერპრეტაცია წარმოშობს, სწორედ ენის საშუალებით ამყარებს ადამიანი კონტაქტს სამყაროსთან და სწორედ ენა ზღუდავს სამყაროს შემეცნებას.

რაც შეეხება სოციალიზაციას, ეს ნაცნობი ტერმინია ჩვენი საზოგადოებისთვის, რადგან სოციალიზაცია პიროვნების აღზრდა და ჩამოყალიბებაა და მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩვენ ვგრძნობთ საზოგადოების გავლენას ჩვენი პიროვნების

ჩამოყალიბებაზე. სოციალიზაციის განსხვავებულ პროცესს გადიან ეთნიური უმცირესობები, რადგან მათ უწევთ ინტეგრირდნენ ისეთ გარემოში, რომელიც ერთი შეხედვით არ ჰგავს მათ გარემოს, მათ კულტურას. ამიტომ ვფიქრობ ეს საკითხი საინტერესო იქნება საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, რადგან ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაცია, ბუნებრივია, აისახება ნებისმიერი მოქალაქის ცხოვრებაზე. 90-იანი წლების შემდეგ ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკა უფრო და უფრო ვითარდება და შესაბამისად, საზოგადოებრივი ინტერესიც გამძაფრებულია, მაგრამ ეს მაინც ვერ პასუხობს სრულად იმ გამოწვევებს, რომელიც საქართველოს აქვს უმცირესობების სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაციის თვალსაზრისით.

სამი ზემოთ ხსენებული თემა, ვფიქრობ, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, რადგან ენის შესწავლის როლი სოციალიზაციის პროცესში უმნიშვნელოვანესია. ბავშვობა არის საზოგადოებასა და კულტურაში სოციალიზაციის პერიოდი. კულტურაში სოციალიზაცია მოიაზრებს ენის შესწავლას. ეთნიკურ უმცირესობები კი აწყდებიან წინააღმდეგობებს, რადგან მათთვის მშობლიური ენა არის აზერბაიჯანული, მაგრამ მათ სჭირდებათ ქართული ენის დაუფლება სრულყოფილი საზოგადოებრივი ინტეგრაციისთვის.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი არ არის სოციალიზაციის პასიური მხარე, ვისზეც ცალმხრივად ზემოქმედებს საზოგადოება, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საკუთარ სოციალიზაციაში. ეს პროცესი მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. ისინი ეუფლებიან ახალ, მათთვის უცხო ენას და უცხო კულტურას, ამიტომ ვფიქრობ, მათი სოციალიზაციის პროცესი ძალიან საინტერესოა.

აღნიშნული კვლევის მიზანია, მცირე წვლილი შეიტანოს ამ ფენომენების ურთიერთკავშირის შესწავლაში და გამოავლინოს ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებსაც სოციალიზაციის პროცესზე აქვს გავლენა, ასევე, იკვლიოს ზოგადად ენის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეთნიკური უმცირესობების მაგალითზე, გამოავლინოს ის თავისებურებები, რომელსაც სახელმწიფო ენის შესწავლისას ვხვდებით, მაშინ როცა ეს უკანასკნელი მშობლიური ენა არაა.

ინტერვიუებისგან მიღებული შედეგების გაანალიზების შემდეგ, შესაძლებლობა მოგვეცემა, გავეცნოთ ჩვენი საზოგადოების ნაწილი - ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს, მოსაზრებებს ამ საკითხებზე, გავიგოთ რისი გაკეთება შეგვიძლია თითოეულ ჩვენგანს მათთვის, რომ მათ თავი იგრძნონ საზოგადოების სრულყოფილ ნაწილად.

მიღებული შედეგები დაგვანახებს, რამდენად დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია თითოეულს ჩვენგანს, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურული მონაპოვარი, რასაც ეთნიკური უმცირესობების კულტურა ჰქვია, შენარჩუნდეს და სიმწვანის გარეშე მოახერხონ ამ ადამიანებმა განათლების მიღება, პროფესიული კარიერის მოწყობა, სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაცია.

ვიმედოვნებ, აღნიშნული კვლევა, რომელიც მცირე მასშტაბიანია, ხელს შეუწყობს ამ თემით შემდგომ დაინტერესებასა და მის სიღრმისეულად კვლევას ჩვენი სოციუმის სხვადასხვა ფენებში. ეს ვფიქრობ, პოზიტიურ შედეგს მოუტანს საზოგადოების დიდ ნაწილს, რადგან ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ქუჩებში, უნივერსიტეტებში, სამსახურებში, საზოგადოებრივ ადგილებში და მნიშვნელოვანია, დავფიქრდეთ, თუ რა გზა გაიარეს მათ მანამ, სანამ აქამდე მოვიდნენ.

1.5. კვლევის შეზღუდვები

მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმ მეთოდოლოგიურ შეზღუდვებს, რომელსაც მკვლევარი თვისებრივი კვლევის ჩატარებისას და ანგარიშის შედეგებისას ხვდება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევის განზოგადება დიდ პოპულაციაზე ნაკლებად სანდოა, ეს მეთოდი გამორიცხავს რაოდენობრივი ან პროცენტული მონაცემების მიღებას, თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია არ ითვალისწინებს განსხვავებული მოსაზრებების მქონე რესპონდენტთა აღრიცხვას, მონაცემების რაოდენობრივად დათვლას, რადგაც ეს მონაცემები არ ექნება სტატისტიკურად სანდო, კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რაოდენობას ვერ განვაზოგადებთ მთელ პოპულაციაზე. თუმცა, შესასწავლი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, მთავარი იყო მიმდინარე მოვლენების ძირეული შესწავლა

და ანალიზი. შინაარსობრივად ბევრად უფრო მდიდარი ინფორმაციის მიღება შეგვეძლო, ვიდრე რაოდენობრივი კვლევა მოგვცემდა.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში დროითი და ფინანსური რესურსები გვექონდა შეზღუდული, შესაბამისად, ქვემო ქართლში - მარნეულში და მის მიმდებარე სოფლებში სავსე სამუშაოები მიმდინარეობდა მხოლოდ ხუთი დღე. ასევე, პრობლემატური იყო ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა რეკრუტირების პროცესი, მოგვიხდა მცირე ჯგუფური ინტერვიუების ჩატარება, რადგან ინდივიდუალურ ინტერვიუებზე მათი დათანხმება გაგვიჭირდა, მათი მორიდებულობის გამო. გამოიკითხა 15 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი და ფიზიკური ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით გამოიკითხვა შედგა ინდივიდუალური ინტერვიუებისა და მცირე ფოკუს-ჯგუფების მეთოდით.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი შეზღუდვებისა, ყოველთვის არსებობს მკვლევარის ფაქტორი და მიკერძოების საშიშროება, თუმცა, მსგავსი რისკები თან ახლავს ყველა სახის კვლევას.

1.6. ეთიკური მხარე

კვლევა ჩატარდა ეთიკური პრინციპების დაცვით. თვისებრივი მეთოდები ნაკლებად ფორმალიზებული და მეტად „მოქნილი“, რაც მკვლევარს თავისუფლებასთან ერთად, დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს.

თითოეული რესპონდენტის კვლევაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი. ისინი წინასწარ გაეცნენ საკვლევო საკითხის ძირითად მიზანს და ამოცანებს. მონაწილეები ფლობდნენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უნდა მომხდარიყო პროცესის აუდიო ჩაწერა მისი შემდგომი გაანალიზების მიზნით, რაზეც მათ თანხმობა განაცხადეს. მათ განემარტათ, რომ აუდიოჩანაწერი ხელს არ შეუშლიდა მათი კონფიდენციალობის დაცვას. მათ ინფორმაცია ჰქონდათ იმის შესახებ, რომ ანონიმურობა სრულად შენარჩუნდებოდა როგორც კვლევის მიმდინარეობისას, ისე მონაცემების დამუშავებისა და ანგარიშის წარდგენის ეტაპებზე.

2. ძირითადი ნაწილი

2.1. თეორიული მიმოხილვა

კვლევის ემპირიული შედეგების განხილვამდე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმ თეორიულ მიდგომებზე, რომელიც დაგვეხმარება ავხსნათ ის ფენომენები, რომლებიც კვლევისას გამოვლინდა. წინამდებარე თავში აღვწერთ თეორიულ მიდგომებს როგორც სოციალიზაციის, სოციალური ინტეგრაციის და ენათმეცნიერების, ისე კონფლიქტოლოგიის შესახებ, ასევე თეორიულ მიდგომებს, რომლებიც ხსნის ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ინტეგრაციის საკითხს, ენის გავლენას ინდივიდის სოციო-კულტურულ ცნობიერებაზე, უცხო ენაზე მოსაუბრე ადამიანისგან მტრის ხატის შექმნის ფენომენზე და იმ სოციალურ სტერეოტიპებზე, რომლებიც იწვევს კონფლიქტებს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანთა შორის. ლიტერატურის და თეორიების მიმოხილვასთან ერთად წინამდებარე თავი მოიცავს ისტორიულ მიმოხილვას და სახელმწიფო პოლიტიკის და საკანონმდებლო ჩარჩოს აღწერას.

2.1.1 სოციალიზაცია

სოციალიზაცია, როგორც უწყვეტი პროცესი

„სოციალიზაცია მოიცავს რიგ პროცესებს, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოების წევრი აღიჭურვება იმ ცოდნით, უნარებითა და ჩვევებით, რაც საზოგადოებაში ცხოვრებას სჭირდება. ამგვარად, სოციალიზაცია პიროვნების აღზრდა და ჩამოყალიბებაა. საზოგადოების სოციალიზაციის პრაქტიკამ სულ მცირე ორი ამოცანა უნდა შეასრულოს: 1. უზრუნველყოს ადამიანის ფიზიკური გადარჩენა, და 2. იზრუნოს ადამიანმა გაიგოს, გაიაზროს და გაიზიაროს საზოგადოების მიერ შემუშავებული ნორმებისა და როლების

სისტემა და თავისი ქცევა შეუსაბამოს მათ. თუკი ინდივიდმა დასძლია ეს ამოცანები, იგი თავის კულტურაში სოციალიზებულად მიიჩნევა. „(ბალიაშვილი, მ. 2013).

ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე გადის სოციალიზაციის პროცესს. მის ცხოვრებაში პერიოდულობით შემოდის სოციალიზაციის სხვადასხვა აგენტი და ხელს უწყობს ინდივიდს, რომ ინტეგრირდეს საზოგადოებაში. ყოველი ახალი გარემო, რომელშიც ჩვენ ვხვდებით, უნდა მოვირგოთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სოციალიზაციის პროცესში ინდივიდი მხოლოდ პასიური მხარეა, რომელზეც მხოლოდ ზემოქმედებენ, არამედ ისიც პირადი იმპულსებით მოქმედებს და თავად განსაზღვრავს და ირჩევს, რომელი საზოგადოებრივი ნორმა თუ სოციალური როლი აითვისოს და რომელი უკუაგდოს.

„სოციალური როლები ძალაუფლების და პრესტიჟის მატარებლები არიან, ისინი სოციალური სისტემის (საზოგადოების) ინტეგრაციას განაპირობებენ. ინდივიდის მიერ სოციალურ როლთა ათვისების პროცესს, პარსონსი „სოციალიზაციას“ უწოდებს.“ (კაჭკაჭიშვილი, ი. 2011წ.) ამრიგად, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ამერიკელი სოციოლოგი ტალკოტ პარსონსის (1902-1979) მოსაზრებით, სოციალიზაცია ეს არის ინდივიდის ინტეგრაცია სოციალურ რეალობაში. „პარსონსი განსხვავებს ორ ძირითად პროცესს, რომელიც ხდება ნებისმიერ სოციალურ სისტემაში: ინტეგრაციული და კონტროლის პროცესები, რომლებსაც აქვს კომპენსატორული ეფექტი: ისინი აღადგენენ წონასწორობას დარღვევის შემდეგ, და იცავენ საზოგადოების განგრძობითობას და რეპროდუქტიულობას. მაგრამ, გარდა ამისა, არსებობენ სტრუქტურული ცვლილებების პროცესები, რომლებიც ეხება ღირებულებების და ნორმების ძირითად სისტემებს. სტრუქტურული ცვლილება არის იმ ღირებულებების ცვლილება, რომელიც აკონტროლებს სისტემის ერთეულებს შორის ურთიერთობებს.“ (თევზაძე, გ. 2002)

ვიზიარებ რა ტალკოტ პარსონსის მოსაზრებას, წინამდებარე ნაშრომში სოციალიზაცია და სოციალური ინტეგრაცია თანაბარი შედეგის მომტან ტერმინებად მოიაზრება, რადგან ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაცია, ვფიქრობ, გულისხმობს მათ სოციალურ

ინტეგრაციას და შევეცდები, გავარკვიო, ამ პროცესში რა როლი აკისრია ქართული ენის ცოდნას, როგორც უმნიშვნელოანესი კულტურული ღირებულების ათვისებას.

ეთნიკურ უმცირესობათა სოციალიზაცია, ვფიქრობ, თავის მხრივ ძალიან საინტერესო პროცესია და ერთობ რთული, რადგან მათ უწევთ ამ პროცესის ორჯერ გავლა. ეს არ არის რესოციალიზაცია, რადგან ეს უკანასკნელი მოაზრებს მიუღებელი ნორმების, ქცევების და ღირებულებების უფრო მისაღებით შეცვლას, ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში კი, ისინი ინარჩუნებენ საკუთარ ღირებულებებს, თუმცა, ამავდროულად იღებენ ახალს, განსხვავებულს და, შეიძლება ითქვას, ეს არის რთული და წინააღმდეგობრივი გზა.

2.1.2. მულტიკულტურალიზმი

მულტიკულტურალიზმი, როგორც უმცირესობების მრავალფეროვნება

თანამედროვე სამყაროში ჰომოგენული კულტურები ძალიან იშვიათია. მსოფლიო ქვეყნების 95 % ჰეტეროგენულია. ეთნიკურ განსხვავებულობას სხვადასხვა სახელმწიფო განსხვავებულად უდგება. სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოში დაახლოებით 5 000 სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფია. ყველაზე მეტად ეთნიკური მრავალფეროვნებით აშშ გამოირჩევა.

მულტიკულტურალიზმზე საუბრისას ხშირად გამოიყენება სიტყვა უმცირესობა. ეს ტერმინი აღნიშნავს რიცხვობრივ მდგომარეობას, ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს უმცირესობად თუ ის უმრავლესობასთან შედარებით ცოტა რაოდენობის ხალხის ერთობაა. ოქსფორდის ინგლისური ლექსიკონის თანახმად სიტყვა „უმცირესობა“ ეთნიკური ჯგუფის აღსაწერად პირველად 1921 წელს გამოიყენეს. ამ დროიდან უპირატესობა, ხელსაყრელი მდგომარეობა ასოცირდებოდა უმრავლესობასთან და არახელსაყრელი მდგომარეობა კი უმცირესობასთან. (ჯანდტი, ი. 1988)

მულტიკულტურალიზმი. აშშ-ის მაგალითი.

1915 წელს ფილოსოფოსმა ჰორას კალენმა აშშ-ის, როგორც კულტურული პლურალიზმის აღსაწერად, გამოიყენა სიმფონიური ორკესტრის მეტაფორა. თითოეული ინსტრუმენტი იყო იმიგრანტი ჯგუფი, რომელიც სხვა ჯგუფთან ერთად ქმნიდა ჰარმონიულ მუსიკას. დღეს აშშ-ში ხალხს შეუძლია შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული ღირებულებები და იდენტობები და ამასთანავე ერთიანდებოდნენ უფრო ფართო საზოგადოებაში. არსებობს ძირითადი ღირებულებები, რომელთაც ყველა ჯგუფი იზიარებს, ეს არის დემოკრატიული ღირებულებები, რომლებიც თანაბარ უფლებებს ანიჭებს ყველა ინდივიდს მიუხედავად მიდი ჯგუფური იდენტიფიკაციისა.

აშშ-ს ახასიათებენ, როგორც მულტიკულტურულ საზოგადოებას. წარსულში ამერიკულ საზოგადოებაში ჩამოსული ემიგრანტები განიცდიდნენ აკულტურაციას დომინანტურ კულტურასთან ასიმილაციით. ამ პროცესში ისინი კარგავდნენ თავიანთ კულტურას და სწავლობდნენ აშშ-ს ენას და კულტურას. შეიძლება ითქვას, რომ მოქმედებდა გადამდნობი ქვაბის იდეა, სადაც ყველანი ხდებოდნენ ამერიკელები. დღესდღეისობით ხალხი აკულტურაციას განიცდის დომინანტ კულტურასთან ინტეგრირებით. ისინი სწავლობენ დომინანტი კულტურის ენას და გარკვეულ ღირებულებებს, თუმცა არ ივიწყებენ თავიანთ ორიგინალურ კულტურას.

აკულტურაცია არის კულტურული მახასიათებლების გაცვლა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის, როდესაც ამ ინდივიდებს ერთმანეთთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში აქვთ ახლო კავშირი. აკულტურაციის დროს პირველადი კულტურებიდან რომელიმე ან ყველა შეიძლება შეიცვალოს, თუმცა, ჯგუფები მაინც ერთმანეთისგან განსხვავებულნი რჩებიან. (Camilleri C. & Malewska-Peyre. 1996).

მულტიკულტურულ საზოგადოებებში კომუნიკაციური პრობლემები წარმოიქმნება კულტურული შოკიდან, კონფლიქტური ღირებულებებიდან, დისკრიმინაციიდან გამომდინარე. კულტურული შოკი შეიძლება იყოს ძალიან რთული პროცესი, რადგან ახალი

ემიგრანტები სწავლობენ, თუ როგორ გადარჩნენ ახალ კულტურაში. ახალი ემიგრანტები ხშირად ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლი, რისი მიზეზიც ენობრივი ბარიერი და სტერეოტიპებია.

2.1.3. ეთნიკურობა

ეთნიკურობის სამი მიდგომა

„თანამედროვე მეცნიერებაში ეთნიკურობის ახსნის სამი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთს ეწოდება **პრიმორდიალიზმი**, რომლის თანახმად ეთნიკურობას საფუძვლად უდევს ადამიანთა პირველყოფილი სულიერი ერთობა (Jenkins, R. 1997.) ამ თეორიის თანახმად ეთნიკურობა ადამიანის, მისი პიროვნების საწყისი ფუნდამენტური თვისებაა, რომელიც უპირობოა და არაა დამოკიდებული ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. მეორე მიდგომაა **სიტუაციონიზმი**: ინდივიდი თავის თავს მიაწერს გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს (ამავე დროს სხვებიც მიაკუთვნებენ მას ამავე ჯგუფს) გარკვეულ სიტუაციაში. თვით ჯგუფი იქმნება საკუთარი თავის შემოსაზღვრის წყალობით. ამგვარი თვითმიკუთვნებისა და მიკუთვნების საფუძველია რესურსებისათვის ბრძოლა (Sdr. Barth, F. 1969). **კონსტრუქციონიზმი**: ეთნიკურობა კონსტრუირდება, იქმნება შემოქმედებითი წარმოსახვის ნოვატორული აქტის შედეგად, მას ქმნის ელიტა საკუთარი ინტერესების დასაცავად, საფუძვლად კი უდევს მოგონილი ტრადიციები, რომლებიც თითქოსდა ძველთაგანვე მნიშვნელოვანი იყო. ეროვნებისა და ეთნიკურობის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე დეტალური თეორია ეკუთვნის ფრ. ბარტს, რომლის თანახმად ეთნიკურობის შეგნება წარმოიშობა ადამიანებს შორის არსებულ საზღვარზე და ამ საზღვრითაა განპირობებული. საზღვარი ამ შემთხვევაში არ უნდა ვიგულისხმოთ როგორც აუცილებლად გეოგრაფიული, ტერიტორიული ფენომენი, არამედ კულტურული ან სოციალური. თვით ეთნიკურობის ან ეროვნულობის ცნება წმინდა სიტუაციური

წარმოშობისაა. მაგალითად ერთი და იგივე ადამიანი, თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა სიტუაციებს, რომლებშიც ის ხვდება ცხოვრების განმავლობაში, შეიძლება იყოს განხილული როგორც ბალტიისპირელი, ლიტველი ან ლივი (ეთნიკური ჯგუფი ლიტვაში, რომელსაც საკუთარი ენა აქვს). ასევე ერთი და იგივე ადამიანი თუ მას მოსკოვის პოლიცია გააჩერებს ქუჩაში შეიძლება მოხსენიებულ იქნეს როგორც კავკასიელი, რომელიმე საერთაშორისო კონფერენციაზე, - როგორც ქართველი, ხოლო თბილისურ რესტორანში კი - როგორც მეგრელი. სამივე ეს განმარტება მის ეთნიკურობას გამოხატავს, სამივე ადეკვატურია და წარმოშობილია სიტუაციით. როგორც ვხედავთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: ადამიანის ეთნიკურობა განისაზღვრება არა მარტო იმით, თუ რას ფიქრობს იგი საკუთარ თავზე, არამედ იმითაც, თუ რას ფიქრობენ მასზე სხვები, ამ შემთხვევაში კი სრულიად აბსურდულია იმაზე ფიქრი, თუ რომელი ფაქტორია უფრო მნიშვნელოვანი.“ (ლადარია, ნ. 2002).

ეთნიკური უმცირესობების იდენტობის სტრატეგიები

ამერიკელი ანთროპოლოგი, კამილერის მიხედვით, კულტურულ ცვლილებასთან შეგუებისთვის სოციალური ინტეგრაცია საუკეთესო გზაა მიჩნეული. სხვადასხვა კვლევების თანახმად, ინტეგრაცია ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და აკულტურაციისგან გამოწვეული ნაკლები სტრესის მაჩვენებელია. ინტეგრაციისთვის გარკვეული პირობებია საჭირო: პირველ რიგში, ინდივიდს უნდა ჰქონდეს საკმარისი უნარები ახალი ენის და ახალი კულტურის შესასწავლად, რათა სრულად ჩაერთოს ახალი საზოგადოების აქტივობებში. ამას გარდა, პირველადი კულტურის ღირებულებები და ფასეულობები არ უნდა მოდიოდეს დიდ წინააღმდეგობაში დომინანტურ კულტურასთან. ასევე მნიშვნელოვანია, საზოგადოება იყოს ღია/გახსნილი ახალი წევრების მისაღებად და ადგილი არ უნდა ჰქონდეს დისკრიმინაციას.

სერიოზულმა კულტურულმა კონფლიქტებმა, შეიძლება კოგნიტური დისონანსი გამოიწვიოს და ინტეგრაციის პროცესი გაართულოს. იდენტობის ჩამოყალიბება არის

დროსა და სივრცეში პიროვნების „იგივეობისა“ და ახალი გამოცდილების, ღირებულებებისა და წარმოდგენების შეთანხმება. „იგივეობა“ არ უკავშირდება მხოლოდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, უფრო მოიცავს ღირებულებათა სისტემის თანმიმდევრულობას, რასაც ამერიკელი ათროპოლოგი კამილერი „მნიშვნელობის ერთიანობას“ უწოდებს.

იდენტობის ჩამოყალიბებისას ზოგჯერ პრაგმატული საჭიროებები ონტოლოგიურ საჭიროებებს უპირისპირება. ონტოლოგიური საჭიროებები საკუთარ თავთან, შინაგან მესთან ჰარმონიაში ყოფნას გულისხმობს. (Camilleri C. & Malewska-Peyre. 1996.).

ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა თაობებს შორის განსხვავებაა: კერძოდ ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ქართველები მშობლების თაობისგან განსხვავებით ცდილობენ თავიანთი ქართველი თანატოლების ღირებულებები შეითვისონ. გენდერული ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რადგან აზერბაიჯანელი გოგონები, რომლებიც თავიანთ ოჯახებში ნაკლები დამოუკიდებლობით სარგებლობენ, ხვდებიან პრობლემას, გაუცხოებას, რადგან არ იციან ჩაერთონ თუ არა ქართველი თანატოლების კულტურულ ერთობაში.

2.1.4. კულტურული რელატივიზმი, როგორც პასუხი ეთნოცენტრიზმზე

კულტურული რელატივიზმის ჩამოყალიბება განაპირობა ეთნოცენტრიზმმა, ამიტომ თავდაპირველად ვისაუბრებ ეთნოცენტრიზმზე. კულტურული ეთნოცენტრიზმი არის საკუთარი კულტურის ადმატებულობის პოზიციიდან სხვისი კულტურის შეფასება. ფრანც ბოასი, ეთნოცენტრიზმს განიხილავს, როგორც კულტურულ რასიზმს. ამ თვალსაზრისის მიმდევრები ფიქრობენ, რომ არსებობს კულტურები, რომელთაც სხვა კულტურები ვერ შეედრება, რადგან ესა თუ ის კულტურა და ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ღირებულებები ყველაზე უკეთესია.

წინა თავში ჩვენ ვსაუბრობდით ინტეგრაციაზე, როგორც კულტურულ ცვლილებასთან შეგუების საუკეთესო გზაზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორ კულტურას შორის დისტანცია განაპირობებს ინტეგრაციის შედეგს - იქნება წარმატებული თუ წარუმატებელი. მაგალითად, ზოგიერთი ტრადიციული აზერბაიჯანული ღირებულება, დამოკიდებულება თუ ნორმა დიდ წინააღმდეგობაშია ყოველდღიურ ქართულ კულტურასთან. თუკი თავიდანვე ამ საკითხის მიმართ გვექნება ეთნოცენტრისტული მიდგომა, კულტურათა ინტეგრაცია ვერ შედეგა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ კულტურები განსხვავება ერთმანეთისგან და არ არსებობს სწორი და არასწორი კულტურები. სწორედ ამ თვალსაზრისის მიმდევრები იყვნენ კულტურული რელატივიზმის თეორეტიკოსები, მაგალითად, ფრანც ბოასი, რუთ ბენედიქტი, მარგარეტ მიდი და სხვები. კულტურული რელატივიზმის თვალსაზრისით, კულტურა შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ამ კულტურის ღირებულებების, ნორმების, ტრადიციების ანალიზის საფუძველზე და ამ კულტურის კონტექსტში. არ არსებობს სანიმუშო კულტურა ან უნივერსალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება გაიტესტოს კულტურების ვარგისიანობა. თითოეული კულტურა არის უნივერსალური, უნიკალური და შეუცვლელი ღირებულების მქონე.

1896 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „შედარებითი მეთოდის ნაკლოვანება“ ფრანც ბოასი წერს, რომ ყველა კულტურა არის თანასწორი, კულტურათა კლასიფიცირება კარგ და ცუდ, მოწინავე და ჩამორჩენილ კულტურებად არის ეთნოცენტრიზმი და მოკლებულია ობიექტურობას. ეს სტატია იყო კულტურული რელატივიზმის პირველი გამოვლინება.

2.1.5. საერთო ენა, როგორც წესრიგი

მრავალი ლეგენდა და მითი მოგვითხრობს ენის წარმოშობის შესახებ და სხვადასხვა ენაზე საუბარი უხსოვარი დროიდან აღიქმებოდა უწესრიგოდ მოფუსფუსე ბრბოსთან, აურზაურთან და არეულობასთან, სხვადასხვა ქცევასა და წეს-ჩვეულებასთან.

„ბიბლიური გადმოცემის თანახმადაც, ენების არევა უკავშირდება ბაბილონის გოდოლს, ესაა კოშკი, რომელიც მოხსენიებულია ძველ აღთქმაში. კაცობრიობა ამ დროისათვის ერთიანი იყო, ერთი ენის მქონე, ეთნიკურად ერთგვარი. „ერთპირი იყო მთელი დედამიწა და ერთ ენაზე მეტყველი. როცა დაიძრნენ აღმოსავლეთიდან, ჰჰოვენ ველი შინყარის ქვეყანაში და იქ დამკვიდრდნენ. უთხრეს ერთმანეთს: მოდი, მოვზილოთ თიხა და გამოვწვათ, ქვის მაგივრად აგური ჰქონდათ, კირის მაგივრად ფისი. თქვეს: აბა ავაშენოთ ქალაქი და გოდოლი და ცას მივუწვდინოთ მისი თხემი. აღვმართოთ ნიშან-სვეტი, რომ არ გავიფანტოთ დედამიწის ზურგზე. ჩამოვიდა უფალი, რომ ენახა ქალაქი და გოდოლი, რომელსაც ადამიანები აშენებდნენ, თქვა უფალმა: აჰა, ერთი ხალხია ეს და ერთი ენა აქვს ყველას. რაკი ეს საქმე წამოუწყიათ, ამიერიდან დაუბრკოლებლივ გააკეთებენ ყველაფერს, რასაც კი განიზრახავენ. აბა, ჩავალ და ენას ავურევ მათ, რომ ვერაფერი გააგებინონ ერთმანეთს. გაფანტა ისინი უფალმა იქიდან მთელს დედამიწის ზურგზე და მათაც შეწყვიტეს ქალაქის და გოდოლის შენება. ამიტომაც ეწოდა სახელად ბაბილონი, რადგან სწორედ აქ აღრია უფალმა მთელი დედამიწის ენა და აქედან გაფანტა ისინი უფალმა დედამიწის ზურგზე“. „ამ ტაძარმა ღმერთები გაანაწყენა. მათ ერთ ღამეში დასცეს ეს ნაგებობა, მთელი მიწის პირზე გაფანტეს [მშენებლები] და ენა აურიეს, რათა შეეჩერებინათ მშენებლობა.“ (ძველი აღთქმა, დაბადება. 11:1-9) დაუმთავრებელ ქალაქს ეწოდა ბაბილონი, რომელიც მოდის ძველ ებრაული სიტყვა „ბალალ“-იდან და ნიშნავს „არევას“ (ბარბაქაძე, ლ. 2013)

მსგავსი ლეგენდა არსებობს მთანში მცხოვრებ მთიელთა ტომში: „დიდი ხნის წინ ყველა ხალხი ერთ დიდ სოფელში ცხოვრობდა და ერთ ენაზე ლაპარაკობდა, მათ დაიწყეს კოშკის აშენება, მაგრამ თანდათანობით სხვადასხვა ქცევები და წეს-ჩვეულებები შეუძენიათ და

სხვადასხვა ენაზე დაუწყოათ ლაპარაკი, მერე ამდგარან და [ნელ-ნელა] მთელ დედამიწაზე გაფანტულან.“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1977)

მსგავსი ლეგენდები არსებობს აფრიკაში, აღმოსავლეთ აზიაში, მექსიკაში და სხვა კულტურებში. ეს მიანიშნებს იმაზე, თუ რა მნიშვნელოვანი ღირებულება იყო და არის ენა ნებისმიერი ხალხისთვის.

ფრაზები “ საერთო ენა გამონახეს“ და „სხვადასხვა ენაზე საუბარობენ“ მართალია, არ ნიშნავს პირდაპირ კონკრეტულ ენაზე საუბრს თუ არ საუბარს, თუმცა, მიუთითებს იმაზე, რომ გაუგებრობა მოგვარებულია, მაშინ, როცა ვიპოვით საერთო ენას, ეს ფრაზები ხაზს უსვამს ენის მნიშვნელობას. ენა ხშირად ხდება კონფლიქტის, უთანხმოების საფუძველი. როგორც კონფლიქტოლოგები ამბობენ, ენობრივი კონფლიქტები არ გვარდება, რადგან სწორედ იმ „საერთო ენის“ გარეშე შეუძლებელია მოლაპარაკება შედგეს. შეიძლება ითქვას, რომ პრობლემები, რომლებიც განიხილება, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციოლოგიური ხასიათის, ხშირად რეალურად წარმოქმნილია ენობრივი კონფლიქტიდან. სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი ხშირად გამოწვეულია ენობრივი (ლინგვისტური) კონტაქტის ხარვეზით. შეწყვეტილი კომუნიკაცია არის კონფლიქტის ესკალაციის ერთ-ერთი მიზეზი, ანუ როცა არც კი გვსურს მოლაპარაკებაზე წასვლა უთანხმოების დროს, არც კი გვსურს საუბარი მოგვარების გზებზე. შეწყვეტილი კომუნიკაცია უკვე არსებული კომუნიკაციის შედეგია, მაგრამ ანალოგიური სიტუაციით წარმართება უთანხმოება სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებს შორის. მათ არც კი შეუძლიათ პრობლემაზე საუბარი, შესაბამისად, ინტერაქცია სავსეა სოციალური სტერეოტიპებით, თვითქმნადი წინასწარმეტყველებით (იგივე თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველებით). ტერმინი „თვითქმნადი წინასწარმეტყველება“, პირველად რობერტ მერტონმა გამოიყენა, რათა აღეწერა „ახალი ქცევის წარმომშობი, სიტუაციის მცდარი დეფინიცია, რომელიც თავდაპირველ მცდარ კონცეფციას სინამდვილედ აქცევს“ (Merton, 1968). თვითქმნადი წინასწარმეტყველების ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი არის ენა, რადგან სწორედ სოციალური სტერეოტიპები, კოგნიტური სქემები „აქცევს მცდარ

კონცეფციას სინამდვილედ“. ენა არის ადამიანის თვითგამოხატვის საშუალება. ის კულტურის ფენომენია, რომელიც სოციუმის არსებობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

2.1.6. ენა, როგორც ცნობიერების განმსაზღვრელი

ვფიქრობ, რომ ის ენა, რომელზეც ვსაუბრობთ, განსაზღვრავს ჩვენს აზროვნებას, რადგან ჩვენი აზროვნება ჩვენი კულტურული ღირებულებების შედეგია. კულტურის ერთ-ერთი ფენომენი კი არის ენა.

დისციპლინას, ენის, აზროვნების და ცნობიერების ურთიერთკავშირის შესახებ ეწოდება ფსიქოლინგვისტიკა (ან პათოფლინგვისტიკა). ენათმეცნიერების ეს დარგი გაჩნდა 1953 წელს. ტერმინი ფსიქოლინგვისტიკა პირველად ნიკოლაი პრონკომ გამოიყენა 1946 წელს. ერთ-ერთი მთავარი თეორია ფსიქოლინგვისტიკის ისტორიაში არის სეპირ-უორფის ჰიპოთეზა. (**Sapir-Whorf hypothesis**, or **Whorfianism**). ბენჯამინ ლი უორფის დამსახურებით გავრცელდა ეს აზრი მეცნიერულ სამყაროში და მას დღემდე შეისწავლიან. *„ენას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ჩვენს სოციოკულტურულ ცნობიერებაზე და უფრო მეტი - ზოგ შემთხვევაში სავსებითაც განსაზღვროს იგი“* (Sapir-Whorf hypothesis, or Whorfianism): - სეპირ-უორფის ჰიპოთეზა ენათმეცნიერებაში ენის ფარდობითობის სახელითაა ცნობილი. (McAfee, Ch. 2004). ამ ჰიპოთეზის თანახმად სწორედ ენა განაპირობებს პიროვნების, მოსაუბრის აზროვნების ტიპს. თუ როგორ აღვიქვამთ სამყაროს, დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელზეც ვსაუბრობთ და რომელზეც ვაზროვნებთ, ამიტომ ადამიანის ცნობიერება ყოველთვის არის განპირობებული ეთნიკურად. ენა არის ის, რა საშუალებითაც ადამიანი კავშირს ამყარებს სამყაროსთან და ასევე, სწორედ ენა უქმნის მას ბარიერებს სამყაროში. შეიძლება ითქვას, რომ სეპირ-უორფის ჰიპოთეზის თანახმად, ენა არის პიროვნების და კულტურული ჯგუფების მსოფლხედვის და მსოფლგაგების საფუძველი, რომელიც ასევე მოიცავს სოციალურ და კულტურულ სტერეოტიპებს და სტერეოტიპულ აზროვნებას, რაც შემდგომ კონფლიქტების, უთანხმოებების საფუძველი ხდება.

2.1.7. მტრის ხატის შექმნა, როგორც იდენტობის განმტკიცება

ადამიანის ბუნება ყოველთვის მოიაზრებდა მტრის ყოლას, ოდითგანვე იყო ეს ხალხების იდენტობისთვის მნიშვნელოვანი. უმბერტო ეკო (Eco, U. 2009) თავის არაჩვეულების ესეში “ მტრის ხატის შექმნა“ საუბრობს იმაზე, რომ მტრის ყოლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ჩვენი მეობა, არამედ იმისთვისაც, რომ შევქმნათ დაბრკოლება, რომლის პირისპირ საკუთარ ფასეულობებათა სისტემასაც გამოვცდით და ჩვენს საკუთარ ღირებულებასაც წარმოვაჩინოთ. თუ მტერი არ არსებობს, ის უნდა შევქმნათ, გვეუბნება ეკო და ამ ტექსტში განიხილავს არა მტრის ამოცნობის მოვლენას, არამედ ხელოვნურად მტრის შექმნის და დემონიზების პროცესს. ეს პროცესი შემდეგი მოსაზრებებით არის განმტკიცებული: *მტერი განსხვავებულია და მისი ცხოვრების წესი ჩვენი არ არის; მტერი მახინჯი უნდა იყოს, რაკი მშვენიერება კეთილთან იგივედება.* მტრის ხატად ჩამოყალიბდა არა იმდენად განსხვავებული, ვისგანაც პირდაპირი საფრთხე გვემუქრება (მაგ. ბარბაროსები) არამედ ის, ვისგანაც პირდაპირი საფრთხე არ გვემუქრება, მისი სახიფათოობა კი არ ქცევს მას განსხვავებულად, არამედ განსხვავებულობა ხდება მისი სახიფათოობის ნიშანი.

ეკოს ტექსტში ასევე ვკითხულობთ, რომ ხალხთა შორის კონტაქტების განვითარებასთან ერთად, მტრის ახალ ტიპად იქცევა არა მარტო ის, ვის განსხვავებულობასა და უცნაურობას შორიდან ვხედავთ, არამედ ისიც, ვინც ჩვენს შორისაა, როგორც დღეს ვიტყვით, ექსტრაკომუნისტარი ემიგრანტი (ემიგრანტი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან არ არის), რომელიც როგორღაც განსხვავებულად იქცევა ან ჩვენს ენაზე ცუდად მეტყველებს.

ასე რომ, თუკი მტრის ხატის შექმნას ვცდილობთ, ჩვენი იდენტობის განმტკიცების მიზნით, ვეძებთ მოვლენებს ან / და ინდივიდებს, რომლებმაც შესაძლოა „ქართველობას საფრთხე შეუქმნას“ და ამ საფრთხეს ვეძებთ მასში, ვინც ჩვენს საზოგადოებაშია, მაგრამ უცხო ენაზე საუბრობს.

ქეთი თადიაშვილი – ოტავას უნივერსიტეტის (კანადა) განვითარების მიმართულების (Development Studies) მაგისტრი თავის ერთ-ერთ სტატიაში „ქართველობის და საქართველოს კონსერვაციის (შენარჩუნების, დაცვის) პოლიტიკა“ საუბრობს იმ ფენომენზე, რომელიც „საფრთხეს უქმნის ქართველობას“. „ამ თემების აქტუალურობა საქართველოსთვის უნიკალური არ არის, არამედ, უფრო მეტად ზოგადი სიტუაციაა, განსაკუთრებით კი საქართველოს მსგავს, განვითარებად ქვეყნებში, რომლებზეც გლობალიზაციის პროცესს განსხვავებული გავლენა აქვს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. ქართველობის დაცვა ეხება და ეხმაურება იმ პოპულარულ საკითხს, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი და აქტუალურია. ქართველი მოსახლეობის დიდ ნაწილს გააჩნია სენტიმენტი, რომელიც ძირითადად ფორმულირებულია, როგორც “ქართველობის წართმევა”, “ქართველობის დაკარგვა” და ასე შემდეგ. ზოგადად, ეს სენტიმენტი (მისი ფორმულირებებიცა და რიტორიკაც) გამოხატავს მოწყვლადი, საფრთხეში მყოფი კულტურის პოზიციას, რომელსაც საზოგადოებაში თუ საზოგადოების გარეთ მოქმედი უცხო ძალები აქტიურად რიყავენ და ავიწროებენ.“

უცხო, უცნობი, უცნაურის ფენომენი ახსნილია გერმანელი ფილოსოფოსის და სოციოლოგის, გეორგ ზიმელის ნაშრომში “The Stranger” – “უცნობი“ (Simmel, Georg 1971). “ზიმელის მიხედვით, უცხო - სოციოლოგიურად დანახული - არის ყოველთვის რაიმე ჯგუფის წევრი, რომელშიც ის თვალში საცემია, თუმცა, აქვს განსაკუთრებული მდგომარეობა, ამიტომ ჩანს ის უცნაური. ის ერთდროულად ახლობელიცაა და შორეულიც, ეს მის სტატუსს განსაკუთრებულ ობიექტურობას სძენს, ამიტომ ხშირად ანდობენ მას საიდუმლოებებს, ნიშნავენ მსაჯად და ა. შ., მაგრამ ეს ობიექტურობა მას საეჭვოსაც ხდის. ზიმელის ეს ესე ეძღვნება ებრაელის ადგილს დასავლურ საზოგადოებაში, სადაც ის „აუტსაიდერად“ რჩება. უცნობი არის ადამანი, რომელიც „მოდის დღეს და რჩება ხვალ“. ამით განსხვავდება ის მოგზაურისგან ან ბომჟისგან. უცნობი არის ორი ძირითადი და ერთმანეთის საპირისპირო ურთიერთობის – დარჩენის და წასვლის – განხორციელება. უცნობი ეგუება მხოლოდ შეზღუდულ მიმდებლობას და გარკვეული ხარისხით ყოველთვის იტოვებს “სხვის”, არაშინაურის იმიჯს. ეს მქდავნიდება იმ ინტერაქციებში, რომელიც

არსებობს უცნობსა და ადგილობრივ მკვიდრებს შორის. ადგილობრივების მხრიდან უცნობის მიმართ რეაქცია, ერთი მხრივ, ცნობისმოყვარეობაა, ანუ ისინი რაღაცას იძენენ უცნობისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, – აგრესია, რაც შეიძლება სრულ მიუღებლობაში გადაიზარდოს. უცნობმა მუდმივად უნდა შეინარჩუნოს ბალანსი “ძალიან ახლოს” და “ძალიან შორს” ყოფნას შორის. თუ ის ძალიან ახლოს იქნება, მაშინ შეწყვეტს არსებობას როგორც უცნობი, ხოლო თუ – ძალიან შორს, მაშინ გაწყვეტს ჯგუფთან ნებისმიერ კონტაქტს. ის ურთიერთობა, რომელიც უცნობს აქვს ჯგუფის წევრებთან, არის სიახლოვის და დისტანციის ერთგვარი კომბინაცია. უცნობის უჩვეულო (ატიპიური) დისტანცია ჯგუფისაგან უფლებას აძლევს მას ჰქონდეს ჯგუფის წევრებთან ინტერაქციის განსაკუთრებული სტანდარტები. მაგალითად, მას შეუძლია იყოს უფრო ობიექტური, აგრეთვე, მოიპოვოს ჯგუფის წევრების ნდობა და ა.შ. ასე ხდება უცნობი ჯგუფის ორგანული წევრი. საბოლოო ანგარიშით, ზიმელი უცნობის სოციალურ ტიპს აყალიბებს, ანუ ახდენს კონკრეტული შემთხვევის ფორმალიზაციას და უცნობობას განიხილავს როგორც სოციალური ინტერაქციის ფორმას. უცნობობის, როგორც სიახლოვის და დისტანცირებულობის ნაზავის, გარკვეული ხარისხი ყველა სოციალურ ურთიერთობაში მონაწილეობს, თუნდაც, ყველაზე ინტიმურში. (კაჭკაჭიშვილი ი. 2008).

2.1.8. იდენტობის დონეები

ენტონი სმიტი თავის წიგნში „ნაციონალური იდენტობა“ გამოყოფს იდენტობათა შემდეგ დონეებს:

- ❖ გენდერული იდენტობა, რომელის კლასიფიკაცია უცვლელი თუ არა, უნივერსალური მაინცაა და სიმდგრადით გამოირჩევა;
- ❖ სივრცის ან ტერიტორიის კატეგორია. ეს არის კონკრეტულ გეოგრაფიულ-რეგიონული იდენტობის ფორმირება, რომელსაც შეკავშირებულობის დიდი

პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ცვალებადია დროსა და სივრცეში და შესაბამისად არც თუ მდგრადია;

- ❖ სოციალ-ეკონომიკური და კლასობრივი იდენტობა. იმის მიუხედავად, რომ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ამგვარი კოლექტიური იდენტობა მოქმედებს, საბოლოოდ იგი განწირულია. პირველი, რომ მას არ გააჩნია ემოციური მიმზიდველობა და კულტურული სიღრმე და მეორე ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე ხშირად იცვლება და შესაბამისად მისი იდენტობაც ცვალებადია ამ მხრივ.
- ❖ რელიგიური იდენტობა. “რელიგიური იდენტობა” “სოციალური კლასისგან” სრულიად განსხვავებულ კრიტერიუმებს ემყარება. კლასობრივი იდენტობა წარმოების და გაცვლის სფეროდან მომდინარეობს, ხოლო რელიგიური იდენტობა კომუნიკაციის და სოციალიზაციის სფეროს ნაყოფია. იგი დაფუძნებულია კულტურის ღერძის და მისი ელემენტების – ღირებულებების, სიმბოლოების, მითების და ტრადიციების ანაბეჭდებზე, რომელიც ხშირად წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშია კოდირებული. რელიგიური იდენტობა ხშირად უკავშირდება ეთნიკურ იდენტობას. როგორც წესი, რელიგიები ცდილობენ გასცდნენ ეთნიკურ საზღვრებს და უნივერსალური ხასიათი მიიღონ, მაგრამ რეალურ პრაქტიკაში მათი საზღვრები ხშირად ეთნიკური ჯგუფის საზღვრებს ემთხვევა. ხშირია ისტორიაში შემთხვევები, რომ თავდაპირველი რელიგიური ჯგუფი შემდეგ გადაიქცეს ეთნიკურ ჯგუფად. დღემდე მრავალი ერი თუ ეთნიკური ჯგუფი მჭიდროდ ინარჩუნებს საკუთარ კავშირებს რელიგიურ იდენტობასთან: პოლონელები, ბერძნები, სერბები, ხორვატები, მარონიტები, სიქები, სინჰალელები, იუზიდები და სხვა. თუმცა ამის მიუხედავად, ეს ორი იდენტობა მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან.

სმიტი იდენტობის ყველაზე მაღალ კატეგორიად ეროვნულ იდენტობას განიხილავს, რომელიც მისი მიხედვით ბოლომდე დაცლილი არ არის ეთნიკური საფუძვლისგან. პირიქით, ეთნიკური მასალა ეროვნულ იდენტობის გადამწყვეტი ფაქტორია და მის საფუძველზე შეადგენს. (სმიტი ე. 1991)

სმიტის იდენტობის დონეები, ვფიქრობ, დაგვეხმარება იმ ემპირიული კვლევის შედეგების გაანალიზებაში, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ეხება. ეს განსაკუთრებით ეხება ეროვნული, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის ფორმირების საკითხებს. იდენტობათა ეს სამი დონე - რელიგიური, ეთნიკური და ეროვნული, ურთიერთგადაკვეთაზე მდებარეობენ და ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. (აბაშიძე, ზ. 2011).

2.2. ისტორიული მიმოხილვა

დღევანდელი აზერბაიჯანის და ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო თურქულენოვანი სამეფო, სახანო-სათაბაგო, რომელსაც საქართველოსთან უძველესი დროიდან ჰქონდა პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული კავშირები, რომელიც ნათესაურ კავშირებამდეც მიდიოდა ხშირად. საქართველოს კულტურამაც სწორედ ამიტომ შეითვისა ვებრი აღმოსავლური - ირანულ-არაბული კულტურის ელემენტები.

„საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების წინაპრები ცოტა მოგვიანებით ჩნდებიან საქართველოს ტერიტორიაზე. „ამ საკითხის შესახებ უწყვეტი ცნობები მეფე ერეკლე მეორის ხანას ემთხვევა (მანამდე გვაქვს ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალი“, რითაც მეფე მათი ინტეგრაციისთვის საკანონმდებლო ბაზის შექმნას ცდილობდა). ჩანს, რომ ერეკლე მეორეს ქართლ-კახეთის სამეფოს სიძლიერისთვის და ბრძოლისუნარიანობის განსამტკიცებლად მათი გვერდში დგომა იმდენად სჭირდებოდა, რომ როცა ბორჩალოელები (წარმოდგება ერთ-ერთი თურქულენოვანი ტომის სახელისგან „ბორჩალუ“, რომლებიც სახლობდნენ ქვემო ქართლში, შემდეგში იქცა გეოგრაფიულ სახელად) აიყარნენ და ერევნის სახანოსა და ყარასუში გადავიდნენ, 1755 წელს მან ყველა უკან დააბრუნა. ასევე 1756 წელს უკან დააბრუნა სამცხეში საიალადოდ დამდგარი ტომები, რომლებიც ირანში მიდიოდნენ. ასევე ცნობილია, როცა რამდენიმე ტომი ახალციხის საფაშოში გადასახლდა, ქართლ-კახეთის მეფე გიორგი მეთორმეტემ ხონთქართან იჩივლა და ისინი უკან დააბრუნა. ქართველი მეფეების ასეთი ძალისხმევა და ნაბიჯი ემოციური მოტივებით არ იყო ნაკარნახევი. მათ არმია სჭირდებოდათ და მართლაც, მეფე ერეკლეს ბორჩალოელებისაგან შემდგარი პირადი გვარდია ჰყავდა, რომელსაც ცნობილი ხუდია ბორჩალოელი მოთავეობდა. გარდა ამისა, ზოგიერთი ცნობით, მეფის პირად დაცვაში 12 კაციდან ხუთი ან შვიდი, სწორედ ბორჩალოელი იყო. ბორჩალოელები მეფესთან ერთად, ძირითადად ლეკების წინააღმდეგ იბრძოდნენ და სხვა ლაშქრობებშიც ირიცხებოდნენ, თუმცა მათ შორის ყველაზე ცნობილი მაინც ასპინძის ომი (1770წ.) და ამ ბრძოლაში გარდატეხის შემტანი - ხიდის გადახერხვის ოპერაციაში - ხუდია ბორჩალოელის მონაწილეობაა ალაბაზა ერისთავსა და სვიმონ მუხრან-

ბატონთან ერთად. ბორჩალოელები ასევე იბრძოდნენ კრწანისის ომში (1795წ.). მოგვიანებით, დუშეთში მეფის დაცვის ოპერაციას ხევსურებთან ერთად 100-ზე მეტი ბორჩალოელიც შეეწირა. ხშირად აზერბაიჯანელებს შეცდომით, უარყოფით კონტექსტში, „თათრებად“ მოიხსენიებენ ხოლმე. ეს იმიტომ რომ საქართველოში მონღოლ-თათრების შემოსევის შემდეგ, სიტყვა „თათარი“ მთლიანად თურქულენოვან ხალხთან ასოცირდებოდა. დღევანდელი აზერბაიჯანელების მიმართ ამ ტერმინის დამკვიდრებას ხელი რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლამ შეუწყო. ამიერკავკასიაში შემოსულებმა ენობრივი სიახლოვის გამო, აქაური თურქულენოვანი ხალხები „კავკასიელ თათრებად“ ან „კავკასიელ მუსლიმებად“ მოიხსენიეს, თუმცა, თათრები თურქული მოდგმის ყივჩაღური შტოს წარმომადგენლები არიან და ოღუზ აზერბაიჯანელებთან ეთნიკურად ისეთი მიმართება აქვთ, როგორც მაგალითად, რუსებსა და სერბებს. ამ სახელდებების პარალელურად, ყოველთვის არსებობდა „თურქის“ ანდა „კავკასიელი თურქის“, როგორც ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის ნარატივი. ამიტომაც 1918 წელს, როდესაც აზერბაიჯანის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა, ეროვნებად მითითებული იყო „თურქი“. ამ დროს ოსმალეთის სახელწიფო ჯერ კიდევ არსებობდა(მოქალაქეობა „ოსმალეთი“), ათათურქმა კი რეფორმები მხოლოდ 5 წლის შემდეგ გაატარა. ეს ვითარება აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგაც (1920 წლიდან) გრძელდებოდა და შესაბამისად, აზერბაიჯანში მცხოვრებთა უმრავლესობის ეთნონიმი იყო „თურქი“. სტალინური რეჟიმის განმტკიცების შემდეგ და მას მერე, რაც თურქეთის რესპუბლიკაში ეროვნების აღმნიშვნელ ტერმინად „თურქი“ გამოიყენეს, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ეთნონიმი „თურქი“ შეცვალა „აზერბაიჯანელით“. შემდგომში ეს სიტყვა განივრცო საქართველოში მცხოვრებ თურქულენოვან მოსახლეობაზე.“ (ქაზუმოვი, მთარგმნელი, გიორგი სორდია).

2.3. ემპირიული კვლევის შედეგები

2.3.1. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავდა შეესწავლა საქართველოს მოქალაქე ეროვნული უმცირესობების ენობრივი კომპეტენციები და ქართული ენის ცოდნის ფაქტორი მათი სოციალიზაციის პროცესში, თუ რა როლს ასრულებს ქართული ენის ცოდნა საქართველოს აზერბაიჯანული თემის სრულყოფილი საზოგადოებრივი ინტეგრაციის პროცესში. მიზნის შესაბამისად დასახული იყო კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ❖ ქართული ენის შესწავლის მოტივის და ენობრივი კომპეტენციების გამოვლენა ეთნიკურ უმცირესობებში.
- ❖ სოციალიზაციის პროცესის შესწავლა და ქართული ენის როლის განსაზღვრა ეთნიკურად აზერბაიჯანელთა ცხოვრებაში.
- ❖ საქართველოს ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეთა შორის არსებული ურთიერთობის ტიპების და ფორმების გამოვლენა;
- ❖ საქართველოს ეთნიკურად ქართველ და ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოქალაქეთა შორის არსებული კონფლიქტების წყაროების გამოვლენა და შესაბამისად, კონფლიქტის ტიპების ჩამოყალიბება.
- ❖ კავშირის დადგენა ენობრივ კომპეტენციებსა და კონფლიქტურ სიტუაციებს შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- ❖ საკანონმდებლო და სამართლებრივი ჩარჩოს შესწავლა ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშომწყობი პოლიტიკის მიმართულებით.

შესასწავლი საკითხის თავისებურებიდან გამომდინარე, მთავარი იყო მიმდინარე მოვლენების ძირეული შესწავლა და ანალიზი. თვისებრივი კვლევით შინაარსობრივად ბევრად უფრო მდიდარი ინფორმაციის მიღება შეგვეძლო, ვიდრე რაოდენობრივი კვლევა მოგვცემდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, მონაცემების მოსაპოვებლად გამოყენებულია თვისებრივი მეთოდოლოგიური მიდგომა და კვლევა მოიცავს თვისებრივი მეთოდების

ტრიანგულაციას: დოკუმენტების ანალიზს, თვისებრივ სიღრმისეულ ინტერვიუებს (ინდივიდუალური და ჯგუფური). ტრიანგულაცია განისაზღვრება როგორც მეთოდოლოგიების კომბინაცია ერთი და იმავე ფენომენის შესწავლის პროცესში. სოციალურ მეცნიერებებში ტრიანგულაციის იდეის გამოყენება იწყება კემპბელიდან და ფისკედან, რომლებმაც განავითარეს მრავალჯერადი ოპერაციონიზმის (Multiple Operationism) იდეა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვალიდიზაციის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ერთზე მეტი მეთოდი, რათა დავრწმუნდეთ, რომ ცვლილებები ასახავს რეალობას და არ არის მეთოდის ზემოქმედებით გამოწვეული. (კოდუა ე.& და სხვ. 2004). ვფიქრობ, რომ ტრიანგულაცია არის ყველაზე ეფექტური მეთოდი ჩვენი საზოგადოების შესახებ ამომწურავი მონაცემების შესაგროვებლად.

კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა კვლევის ამოცანებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლა:

- ❖ არსებული კვლევები და ნაშრომები;
- ❖ სახელმწიფო დოკუმენტაციები და საკანონმდებლო აქტები;
- ❖ ეროვნული სტატისტიკა;
- ❖ სხვა რელევანტური ლიტერატურა.

კვლევის პროცესში ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერვიუები ჩატარდა თბილისში, მარნეულში და მარნეულის მიმდებარე სოფლებში. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (გაიდლაინი-სადისკუსიო გეგმა). ინტერვიუები ჩატარდა შემდეგ სამიზნე ჯგუფებთან:

- ❖ სფეროს ექსპერტები.
- ❖ ეროვნული უმცირესობები;
(სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ საქართველოს მოქალაქე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები, კერძოდ ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა.)

პირველ რიგში განვმარტავ, თუ ვის მოვიაზრებ ეთნიკური უმცირესობებში - დღესდღეობით საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ტერმინის „ეროვნული უმცირესობა“ ზუსტი განმარტება, თუმცა მეცნიერთა და სპეციალისტთა უმრავლესობა თანხმდება შემდეგ განსაზღვრებაზე: ეროვნული უმცირესობა არის მოცემულ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის არადომინირებული ნაწილი, რომელიც უმრავლესობისაგან განსხვავდება თავისი ეთნიკური, რელიგიური თუ ლინგვისტური მახასიათებლებით და სურს შეინარჩუნოს საკუთარი თვითმყოფადობა. (სარჯველაძე ჯ. 2007.)

სამიზნე ჯგუფები კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე არ შერჩეულა. რესპონდენტების მოძიება მოხდა მიზნობრივი არაალბათური შერჩევის საფუძველზე, ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპით. ძნელია, ჩამოვაცალიბოთ ზუსტი წესები, რომელთა თანახმადაც ხდება მონაწილეების შერჩევა, რადგან თვისებრივი მეთოდებით მუშაობისას, არასდროს გვაქვს საქმე რეპრეზენტატულ შერჩევასთან. (ზურაბიშვილი, თ. 2006).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მონაწილეთა შერჩევა საკმაოდ მარტივი პრინციპით განხორციელდა: ვუკავშირდებით ჩვენთვის საინტერესო მახასიათებლების მქონე პიროვნებებს (ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე ეთნიკურად აზერბაიჯანელი, რომლის ასაკი არის არაუმცირეს 18 წლისა და წინასწარ ვუთანხმდებით კვლევაში მონაწილეობასა და ჩატარების ადგილზე. შემდეგ ვთხოვთ მას, დაგვაკავშიროს მსგავსი მახასიათებლების მქონე ადამიანებს, თუკი იცნობს მათ.

სამიზნე ჯგუფები გამოიყურება შემდეგნაირად:

<i>სამიზნე ჯგუფი</i>	<i>ინტერვიუების რაოდენობა</i>
ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც საუბრობს ქართულად	5
ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც სწავლობს ქართულს.	5
ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელიც არ საუბრობს ქართულად.	5
სფეროს ექსპერტები	1
სულ ჩატარებული ინტერვიუები:	16

ცხრილი 1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ენობრივი კომპეტენციის მიხედვით

სიღრმისეული ინტერვიუების მონაცემთა დამუშავება:

კვლევის ანალიტიკურ ეტაპზე დამუშავდა ჩატარებული ინტერვიუების შინაარსობრივი და სტრუქტურული ნაწილები. ანალიზის ფაზები განხორციელდა გაბრიელე კაპაის მიერ აღწერილი ინტერპრეტაციული ფაზების მიხედვით (წიგნიდან: „ადგილობრივი რეალობა და გლობალური პროცესები: ემიგრაცია, ჯგუფების წარმოქმნა და თვითშეგნება მულტიკულტურულ საზოგადოებაში“).

ეს ფაზებია:

„ფაზა 1. ტექსტის ფორმალური ანალიზი

ამ ფაზაში ინტერპრეტატორის დანიშნულებაა ნარატიული მიმდევრობების გარჩევა და მათი გამოყოფა არანარატიული მიმდევრობებისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება ტექსტის „გასუფთავებას“. ამ პროცედურის მიზანია კონცენტრირება ინტერვიუს იმ ნაწილებზე, რომლებიც ამჟღავნებს ნარატიულობის მაღალ დონეს და გამორიცხვა (ოღონდ მხოლოდ დროებით) არგუმენტაციული, შემფასებლური და თეორიული მონაკვეთებისა.

ფაზა 2. სტრუქტურულ-შინაარსობრივი აღწერა

შემდეგი ნაბიჯი გულისხმობს ტექსტის სტრუქტურულსა და შინაარსობრივ აღწერას. საჭიროა ტრანსკრიპტის დამუშავება იმ თვალსაზრისით, რომ გამოჩნდეს მისი მახასიათებლები: ა) კავშირები და ზმნიზედები, რომლებიც აღნიშნავენ უწყვეტობას, განვითარებასა და განტოტებას; ბ) ელემენტები, რომლებიც ახდენენ დროითი დინამიკისა და დინების მარკირებას; გ) ელემენტები, რომლებიც აღნიშნავენ თხრობაში დამაჯერებლობის ნაკლებობას (ყოყმანი, თვითშესწორება და ასე შემდეგ).

პირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ტექსტში მოვახდინოთ იმ ელემენტების ინდენტიფიკაცია, რომლებიც აღნიშნავენ ცხოვრების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას და ამ პროცესის დინამიკის აღწერა. ამ ეტაპზე მჟღავნდება ბიოგრაფიული პროცესის კომპლექსური, რთული სტრუქტურა: ის სიტუაციები და მოვლენები, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ ინსტიტუციებთან, ზღვრულ სიტუაციებთან, რაიმე განსაკუთრებული პროცესის კულმინაციურ ფაზებთან, გარკვეულ მოვლენებში პასიურ ჩართულობასთან, დრამატულ განვითარებასთან, თანდათანობით ცვლილებებთან,

ფაზა 3. ანალიზური აბსტრაქცია

მესამე ფაზაში კვლევის მიზანს წარმოადგენს ბიოგრაფიული პროცესის ხშირად გავრცელებული სქემების იდენტიფიკაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქმე ეხება ბიოგრაფიული პროცესის იმ სტრუქტურათა გარკვევას, რომლებიც მართავენ სუბიექტის ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ფაზა 4. ცოდნის ანალიზი

მხოლოდ ამ ფაზაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ეგრეთ წოდებულ „ცოდნის ანალიზს“, რომელიც საშუალებას იძლევა გავარკვიოთ თუ საკუთარი ცხოვრებისეული გზის რა ცოდნა აქვს ინდივიდს, რა მხრიდან უყურებს იგი საკუთარ ბიოგრაფიას.

ამ ფაზაში მხედველობაში უნდა მივიღოთ თხრობის ის მონაკვეთები, რომლებშიც რესპონდენტი მიმართავს არგუმენტირებულ სტრუქტურებსა და თეორიულ ცოდნას. სხვა სიტყვებით, საქმე ეხება იმ პასაჟებს, რომელთა განმავლობაში მთხრობელი განიხილავს საკუთარ ისტორიასა და იდენტიფიკაციას. ინტერპრეტაცია ამ ფაზაში მიზნად ისახავს ფოკუსირება მოახდინოს ბიოგრაფიული პროცესის მმართველ სხვადასხვა ფუნქციებზე. იგულისხმება ორიენტაციული, ინტერპრეტაციული, თვითდეფინიციური, ლეგიტიმაციური და სხვა ფუნქციები. აქ ინტერპრეტაცია ეხება ინტერვიუს როგორც ნარატიულ, ასევე არგუმენტიაციულსა და თეორიულ მხარეებს.

ფაზა 5. კონტრასტული შედარება

მხოლოდ ამ ეტაპზე შეგვიძლია მოვახდინოთ სხვადასხვა ინტერვიუების შედარებითი ანალიზი. შედარება ხორციელდება სხვადასხვა დონეზე: ა) ფუნდამენტური სტრუქტურები და პროცესები; ბ) კონკრეტული პრობლემის გენეზისი და განვითარება; გ) ინდივიდის მიერ ამა თუ იმ სპეციფიური პრობლემის გადასაწყვეტად ამოქმედებული სტრატეგიები; დ) სქემები ან დინამიკები, რომელთა გავლით ინდივიდები განიცდიან მოვლენებს.

ფაზა 6. შედარებითი ანალიზი, წარმართული მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტის მიხედვით

ამ ფაზაში ერთი კონკრეტული ინტერვიუს განმავლობაში აღძრული კატეგორიები, სქემები და თემები შედარებულია სხვა ინტერვიუებში აღძრულ მსგავს კატეგორიებთან, სქემებთან და თემებთან.

დასაწყისში მიზანშეწონილია ერთმანეთს შედარდეს მსგავსი შემთხვევები (მინიმალური კონტრასტი). შემდეგში შესაძლებელი იქნება განვავითაროდ ანალიზი და ერთმანეთს დავუპირისპიროდ ის შემთხვევები, რომელთა შორის განსხვავება უფრო აშკარაა (მაქსიმალური კონტრასტი). ასეთი მიმდევრობის მიზანია განვითარდეს ყველა შემთხვევისათვის, ან შემთხვევათა უმრავლესობისთვის საერთო ელემენტარული კატეგორიები.

ფაზა 7. თეორიული მოდელის აგება

შედარებითი ანალიზის საბოლოო მიზანია, აგებულ იქნას ტიპური პროცესული მეთოდი ან მოდელები. მხოლოდ ამ მეშვიდე ფაზაში არსებობს შესაძლებლობა, რომ დავადგინოთ ის პირობები, საშუალებები და პრობლემატიკა, რომელთა მიხედვით ერთმანეთისგან გამოირჩევა ინდივიდთა გარკვეული ჯგუფები.“ (გაბრიელე კაპაი „ადგილობრივი რეალობა და გლობალური პროცესები: ემიგრაცია, ჯგუფების წარმოქმნა და თვითშეგნება მულტიკულტურულ საზოგადოებაში“).

წარმოდგენილი სოციოლოგიური კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული მასალა გახდა ნაშრომის დასკვნების და რეკომენდაციების საფუძველი, ემპირიული კვლევის შედეგების მიხედვით შეგვიძლია, ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ, რა როლი აქვს ქართული ენის ფაქტორს ეთნიკური უმცირესობების სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციაში და როგორ მიმდინარეობს მათი სოციალიზაცია ქართულ დომინანტ კულტურაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლევა ჩატარდა თვისებრივი სოციოლოგიური მეთოდით. რესპოდენტთა გენდერული ბალანსი დაცულია, ასაკობრივი ჯგუფები დაყოფილია და უგეგმავად მოხდა ისე, რომ ქართული ენის მცოდნეთა ასაკი შედარებით ნაკლებია, ქართული ენის არმცოდნეთა შედარებით, ეს ფაქტორი ასევე ანალიზის საფუძველს გვაძლევს. რესპოდენტთა უმრავლესობა რაიონული ან სასოფლო ტიპის დასახლებაში ცხოვრობს (კერძოდ, მარნეული და მიმდებარე სოფლები).

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან სულ ჩატარდა 6 ინტერვიუ, სამი ჯგუფი დაკომპლექტებული იყო 3 ადამიანით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა ადამიანმა, რომელთაგან 8 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, ხოლო 7 – მამრობითი სქესის. აღსანიშნავია, რომ 6 ჯგუფიდან სამი ჰეტეროგენური იყო, სამი კი ჰომოგენური, რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე ჯგუფი და მეხუთე ინტერვიუ მდედრობითი სქესის წარმომადგენლებთან ჩატარდა, ხოლო მეოთხე ჯგუფი სრულად მამრობითი სქესის წარმომადგენლებით. თვალსაჩინოებისთვის წარმოგიდგინებ ჯგუფების მიხედვით სქესის განაწილებას (ცხრილი 2.):

<i>ჯგუფები</i>	<i>სქესის განაწილება</i>
1	1 მდედრ. 2 მამრ.
2	2 მდედრ. 1 მამრ.
3	3 მდედრ.
4	3 მამრ.
5	1 მდედრ.
6	1 მდედრ. 1 მამრ.
სულ - 15 მონაწილე მდედრობითი - 8 მამრობითი - 7	

ცხრილი 2. ჯგუფების მიხედვით სქესის დანაწილება

ექსპერტული გამოკითხვის ნაწილში ინტერვიუ ჩატარდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან, ქალბატონ ლია გიგაურთან. იგი სამოქალაქო თანასწორობის მიმართულებით მუშაობს და მისგან მიღებული ინფორმაციით შეგვეძლო გავცნობოდით სახელმწიფოს სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის რაობას. ლია გიგაური 2013-დან 2018 წლამდე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე იყო, მანამდე კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი

განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, შესამამისად მას აქვს დიდი გამოცდილება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან მუშაობის.

ასაკობრივი ჭრილი

ჩვენი კვლევის მონაწილეთა ასაკი იყო 18-დან 65 წლამდე ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქართველები. ხუთი მათგანი თავისუფლად საუბრობს ქართულად, ხუთი არის ქართული ენის სწავლის პროცესში, ხოლო ხუთთან საკომუნიკაციოდ გამოვიყენეთ რუსული ენა. ეს უკანასკნელი ჯგუფი დაკომპლექტებული იყო 35 + ასაკის ადამიანებით, პირველი და მეორე ჯგუფები კი 30 წლამდე აზერბაიჯანელი ქართველებით. ეს ასაკობრივი დანაწილება არ იყო დაგეგმილი, ჯგუფები დავაკომპლექტეთ ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით. როგორც აღმოჩნდა, მათი ენობრივი კომპეტენცია უნდა განვიხილოთ ასაკობრივ ჭრილში.

კვლევების თანახმად, ადრე საკომუნიკაციო ენა იყო რუსული, ამიტომ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებში 55 წლის ზედა ასაკობრივ ჭრილში ეთნიკურად არაეზერბაიჯანელებთან საკომუნიკაციო ენა არის რუსული. 25-28 წლამდე ახალგაზრდები კი უკვე სწავლობენ ქართულ ენას, ხედავენ სახელმწიფო ენის საჭიროებას და შეიძლება ითქვას, რომ ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი.

„ჩვენ როცა ახალგაზრდები ვიყავით, საზღვრები მოშლილი იყო, არც იყო განცდა, რომ საქართველოში ვცხოვრობდით, ახლა სხვა დროა, ახლა ჩემს შვილებს ვაძალებ ქართული სწავლას, მაგრამ ასევე აუცილებელია ჩვენი კულტურა არ დაივიწყონ, “ აბულფატი - 58 წლის

„ეხლა მე, მაგალითად, შვილი რომ მეყოლება, აუცილებლად ქართულ სკოლაში შევიყვან, აზერბაიჯანული მაინც ეცოდინება და სჯობს სკოლაში ქართულად ილაპარაკოს პატარა ასაკიდან. აი ჩემს ნათესავსაც ვეუბნებოდი, ქართულ სკოლაში შეეყვანა ბავშვი, მაგრამ არ დამიჯერა. არ გაუჭირდება პატარა ასაკში, მაგრამ თუ გაუჭირდა, მერე გაიყვან თუ რამე, რა

პრობლემა. ქართული მნიშვნელოვანია და მშობელზე დამოკიდებული, რომ დააინტერესოს შვილი. “აბდულა-30წლის

ჩვენმა კვლევამ აჩვენა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა თაობების დამოკიდებულებებს შორის განსხვავება: კერძოდ, ახალგაზრდა აზერბაიჯანელი ქართველები მშობლების თაობისგან განსხვავებით ცდილობენ თავიანთი ქართველი თანატოლების ღირებულებები შეითვისონ.

თუმცა, ასევე არსებობს პრობლემატური ასაკი 28 წლიდან 55 წლამდე, ამ შუალედში არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომლებმაც არ იციან სხვა ენა, გარდა მშობლიური აზერბაიჯანულისა. ეს ადამიანები ცხოვრობენ ისეთ ლოკაციებში, რომელიც დაშორებულია მუნიციპალურ ცენტრებს. ეს არის ძალიან დიდი ასაკობრივი კატეგორია და ამიტომ ზრდასრულთა განათლება და მათი სოციალიზაცია ყველაზე გართულებულია. ისინი არ ყოფილან ჩართული სახელმწიფოს ერთობლივ პროგრამებში ქართულ ან/და სომხურ თემთან, რაც ინტეგრაციის პროცესებს ხელს უშლის, ასევე, არ ყოფილან ჩართული სახელმწიფოს აქტივობებში, ბანაკებში, - მაგალითად, ინტერნაციონალურ ბანაკში „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ , სადაც შერეული ეთნიკური ჯგუფებია და მათ უწევთ ქართულ ენაზე კომუნიკაცია.

გენდერული სტერეოტიპები

აზერბაიჯანულ თემში სახეზეა გენდერული ნიშნით ახალგაზრდა ქალების და არასრულწლოვანი გოგონების შევიწროვება. ხშირია შემთხვევები, რომ გოგონებს განათლების და ინფორმაციების ბარიერებს უქმნიან, თვლიან, რომ გოგონებისთვის ცხრა კლასის განათლება საკმარისია და ეს ყველაფერი შეფუთულია ტრადიციებით.

„ეს არის პრობლემატური საკითხი, რადგან ინტეგრაცია ან არსებობს ან არ არსებობს, ხომ არ შეიძლება ვთქვათ რომ კაცები ინტეგრირდნენ, ქალბატონები არა. უამრავი მაგალითები მაქვს, რომ მივდიოდი სკოლაში და რომელიმე გოგო მიდებდა ჯიბეში ჩუმად ქართულ ენაზე დაწერილ საოცარ წერილს, რომ უნდა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება და

გვთხოვდა, თუ გაგვეშვა პოლიცია, რომ მამამისი შეეშინებინა, რომ მოეცათ მისთვის გამათლებლის უფლება. ამაზე რეაგირება გვქონდა, რეპორტაჟები გავაკეთეთ, გვქონდა გაეროს მოხლეობის ფონდთან და სახალხო დამცველთან ერთობლივი პროგრამები, ჩავდიოდით სოფლებში, მართალია, მათი მშობლები არ გველაპარაკებოდნენ, მაგრამ გველაპარაკებოდნენ პედაგოგები. და ამან თავისი შედეგი გამოიღო. არის შემთხვევა, რომ გოგონა წავიდა უცხოეთში გაცვლითი პროგრამით და წარმატებას მიაღწია.“ ლია გიგაური-საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

გენდერული ფაქტორი გასათვალისწინებელია, რადგან აზერბაიჯანელი გოგონები, რომლებიც თავიანთ ოჯახებში ნაკლები დამოუკიდებლობით სარგებლობენ, ხვდებიან პრობლემას, გაუცხოებას, რადგან არ იციან ჩაერთონ თუ არა ქართველი თანატოლების კულტურულ ერთობაში, მოსწონთ ის, მაგრამ ასევე იღებენ კულტურულ შოკს, როცა დამოუკიდებელ თანატოლებს ხვდებიან.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალიზაციის გეოგრაფიული ასპექტი

სოციალიზაცია არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ უკვე ინტეგრაცია ხდება. ინტეგრაცია პირდაპირ კავშირშია გეოგრაფიულ მდებარეობასთან, მაგალითად, ის სურათი, რაც გვაქვს მარნეულში არ შეგვიძლია, განვაზოგადოთ სრულ ეთნიკურად არაქართველ მოსახლეობაზე და დასკვნა გამოვიტანოთ, რომ აზერბაიჯანული თემი არის ინტეგრირებული. ასეთი სიტუაციაა ასევე კახეთში საგარეჯოს რაიონის სოფლებში - ლამბალო და იორმულანლო და ლაგოდების რაიონის სოფელ კაბალიში. ამ სოფლებში არის ინტეგრაციის სხვა დონე, ვიდრე კახეთის სხვა სოფლებში. სოციალიზაციისთვის, სამოქალაქო ინტეგრაციისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ენის ცოდნას, ასევე, იმას თუ რა სერვისებთან აქვს წვდომა და შეხება მოქალაქეს, ეს პირდაპირ კავშირშია იმასთან, ხედავს თუ არა ის სახელმწიფო ენის ცოდნის საჭიროებას. იმ გეოგრაფიულ ადგილებში, სადაც ცენტრალური მნიშვნელობის, სახელმწიფო მნიშვნელობის გზები გადის და ახლოს არის მუნიციპალურ ცენტრთან,

ქართული ენის ცოდნის მხრივ უკეთესი სიტუაციაა, ხოლო რაც უფრო დაშორებულია ლოკაცია მუნიციპალური ცენტრიდან, სახელმწიფო მნიშვნელობის გზიდან და სადაც სერვისებთან წვდომა ნაკლებია, იქ სახელმწიფო ენა კრიზისულ ვითარებაშია.

ინფორმაციის მიღების ენა და წყაროები

ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის უმრავლესობის ინფორმირების წყარო არის ოჯახის წევრებისგან, მეგობრებისგან და ნაცნობებისგან მიღებული ინფორმაცია და ტელევიზია. ისინი ვერ იღებენ ინფორმაციას ჟურნალ-გაზეთებიდან, გამომდინარე სახელმწიფო ენის არ/ცუდად ცოდნით.

სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხი და ამის შესაბამისად ინფორმაციის მიღების ხარისხი მოქმედებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო აქტივიზმზე. მაგალითად, ბოლო არჩევნებზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მონაწილეობა, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ ითარგმნა პროგრამები და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ტრენინგები ჩაუტარდათ ორ ენაზე, შესაბამისად მოსახლეობა მეტად იყო ინფორმირებული, თუ რა მნიშვნელობის საზოგადოებრივ აქტივობაში უნდა ჩართულიყო.

სოციალიზაციას და ენის ცოდნის სურვილს ინფორმირებულობა განაპირობებს. იმ პიროვნებებს, რომლებიც ინფორმაციას მხოლოდ აზერბაიჯანულ ენაზე იღებენ, სხვა დამატებითი მოთხოვნა არ აქვთ და აბსოლუტურად კმაყოფილნი არიან ამ ინფორმაციით, ინტერესი სახელმწიფო ენის ცოდნის არ აქვთ. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც აზერბაიჯანულ, ოჯახში სასაუბრო ენაზე მიღებული ინფორმაცია მათ უბიძგებთ, უფრო მეტი ინფორმაცია მოიპოვონ და სახელმწიფო ენაზეც მოისმინონ, ეს მიდგომა გვხვდება ახალგაზრდა თაობაში.

„ეთნიკურ უმცირესობათა სოციოლიზაცია ეს არის ქვეყნის ყველა სფეროს - საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ პროცესებში ინტეგრირებული ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა. კომუნიკაცია მყარდება და იმ საზოგადოებრივ ჯგუფებში, რომლებიც არ არის მონოეთნიკური და არის მრავალეთნიკური, ისინი თავს

კომფორტულად გრძნობენ, ეს გვინდა ჩვენ, რომ ისინი იყვნენ აქტიური და რეალიზებულნი.“ - ლია გიგაური-საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი აქტიური და რეალიზებული რომ იყოს, ის უნდა ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა შესაძლებლობებს აძლევს სახელმწიფო, უნდა იცოდეს მისთვის სასარგებლო სახელმწიფო სერვისების, პროგრამების შესახებ. უმნიშვნელოვანესია ფერმერული მეურნეობის სერვისების შესახებ მათი სრულფასოვანი ინფორმირებულობა, რადგან სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტები ეხება იმ მოსახლეობასაც, რომელიც არ ტოვებს სოფელს. მათ სჭირდებათ ქართულად კომუნიკაცია, რათა ისწავლონ, როგორ გახადონ მათი პროდუქტი კონკურენტუნარიანი. მართალია, ისინი იღებენ თარგმნილ ინფორმაციას გადამზადებული ტრენერების საშუალებით, მაგრამ ეს არის მაინც მწირი და არასრულფასოვანი, რადგან ისინი არ არიან ინტერაქციაში ჩართულები. ქართული ენის ცოდნა კი მათ მისცემდათ საშუალებას, უფრო მეტი გაიგონ იმ ბენეფიტებზე, რომელსაც სახელმწიფო მათ სთავაზობს.

„რეალურად შენს სახელმწიფოში ხარ იგნორირებული საკუთარი თავის მიერ სხვადასხვა პროცესებთან მიმართებაში.“ ლია გიგაური-საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკა

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა შეიქმნა 2015 წლიდან აქვს ოთხი ძირითადი მიმართულება:

- ❖ ჩართულობა, მონაწილეობა, სოციალიზაცია;
- ❖ ეკომონიკური საკითხები და ეკონომიკური გაძლიერება;
- ❖ განათლება და სახელმწიფო ენის სწავლა;

- ❖ კულტურული იდენტობის შენარჩუნება, საკუთარი კულტურის პოპულარიზაცია და მშობლიური ენის შენარჩუნება.

ენის შემსწავლელი პროგრამები

1+4 საგანმანათლებლო პროგრამა

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სახელმწიფო ენის ცოდნა არის ის მნიშვნელოვანი პირობა, რაც განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამგვარად, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე. კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით გადადგმულია. 2010 წლიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ საშუალება უმაღლესი განათლება მიიღონ საქართველოში გამარტივებული წესით. გამარტივებული სისტემა, ე.წ. 1+4 პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარებას სომხურ აზერბაიჯანულ, აფხაზურ, ოსურ ენებზე და სათანადო ქულების დაგროვების შემთხვევაში უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას. ახალგაზრდები 1 წლის განმავლობაში გადიან ქართულ ენაში მომზადების კურსს და შემდგომ 60 კრედიტის დაგროვების შემთხვევაში აგრძელებენ სწავლას მათთვის სასურველ ფაკულტეტზე. 2010 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა ეთნიკურ უმცირესობათა სტუდენტების რაოდენობა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ცალსახად ამ პროგრამის დამსახურებაა.

სტატისტიკა:

2018 წლის მონაცემებით 5-ჯერ გაზრდილია ჩარიცხული არაქართულენოვანი სტუდენტების რაოდენობა (2010 წელი - 247 სტუდენტი - 2018 წელი - 1231 სტუდენტი). (ინფორმაცია აღებულია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ გვერდიდან).

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია წარმატების გაზიარება, ანუ, როგორც კი ერთი მოდელი შეიქმნა 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულის თემში წარმატებულ ადამიანად დაბრუნების,

მალევე დაიწყო ქართული ენის სწავლის ტენდენცია. (პროგრამის მონაწილე 138 ახალგაზრდა დაბრუნდა თავის რეგიონში სკოლაში დამხმარე მასწავლებლად). წარმატებული ადამიანის მოდელი გახდა მოტივაცია სხვებისთვის, მათ დაინახეს ქართული ენის ცოდნის საჭიროება დასაქმებისთვის და აქტიურად ითხოვდნენ გახსნილიყო დამატებით ქართული ენის შემსწავლელი კლასები.

ქართულენოვანი მასწავლებელი თემში

2010-2011 სასწავლო წლიდან დაიწყო სახელმწიფო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის მასწავლებლის გაგზავნას ეთნიკური უმცირესობების თემში, შემდეგი წლიდან სფერო გაფართოვდა და დაემატა სამოქალაქო განათლების, ისტორიის მასწავლებლები, რომელთაც ასევე ევალებათ სხვადასხვა ქართულენოვანი აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება. ამ პროექტების შედეგები დღეს უკვე სახეზეა - ახალგაზრდებმა სკოლებში დაიწყეს ქართულად საუბარი.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ „ჟვანიას სკოლა“ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამას ახორციელებს 2005 წლიდან. სკოლა ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს შეისწავლოს ქართული ენა ან გაიუმჯობესოს ენის ცოდნის დონე. ამ პროგრამით სწავლება ხორციელდება საქართველოს სამ რეგიონში: ქვემო-ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. სწავლება მიმდინარეობს სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრსა (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, წალკა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ლამბალო, ლაგოდეხი, ახმეტა) და სოფლებში არსებულ მობილურ ჯგუფებში. სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა ხორციელდება ენის ფლობის ზოგადევროპული სტანდარტის მიხედვით და სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. (ინფორმაცია აღებულია სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ვებ გვერდიდან).

სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება

სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით გაეროს ასოციაცია PITA (PITA - „ტოლერანტობის, სამოქალაქო ცნობიერების და ინტეგრაციის მხარდაჭერა“) ახორციელებს პროექტს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან, გადამზადდა ადგილობრივი თემის წარმომადგენელი ახალგაზრდები, რომლებიც საუბრობენ ქართულ ენაზე, რათა თავიანთ თემში, სოფლებში შეხვდნენ ახალგაზრდა თანატოლებს და ესაუბრონ თავიანთ უფლებებზე, ადრეული ქორწინების რისკებზე, სამოქალაქო აქტივობის პერსპექტივებზე და აამაღლონ მათი სამოქალაქო ცნობიერება, შეეცადონ, დააინტერესონ საზოგადოებრივი პრობლემებით. ამ ეტაპზე მცირე ეთნიკურ ჯგუფებთან მიმდინარეობს ეს პროცესი, თავიდან დაბალი აქტივობის მიუხედავად, დღესდღეისობით ამ პროექტში ჩართულობა მაღალია.

სხვა ბევრი პროექტი განხორციელდა სამინისტროს ინიციატივით, რაც ხელს უწყობს ინტეგრაციის პროცესს, მაგალითად, სოციალური შეხვედრები ჩაიხანებზე, თუმცა, აქ რჩება პრობლემა, რომელიც გენდერული ნიშნისაა - საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში მხოლოდ მამაკაცები იკრიბებიან და ქალბატონების ჩაკეტილობა ქმნის მათთან კომუნიკაციის პრობლემას.

„საქართველოში დღეს არსებობს სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკა, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი პოლიტიკურად და სტრატეგიულად მხარდაჭერილია, სხვადასხვა უწყებების სტრატეგიები ემსახურება ამ თემას და არ არჩევს ეთნიკური ნიშნის მიხედვით მოსახლეობას. სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებები და პრიორიტეტები ყველა დონეზე სწორად უნდა იყოს გააზრებული. ყველას უნდა ესმოდეს როგორი მნიშვნელოვანია ეს ამოცანა ჩვენი სახელმწიფოსთვის. დარჩა ტაქტიკური ნაბიჯების გადადგმა იქვე თემში, ადგილზე, ეს პროცესია, რომელიც თავის თავზე უნდა აიღოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, სკოლებმა, უმაღლესი სასწავლებლები სადაც არის 1+4 პროგრამები.“ ლია გიგაური - საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

რეალურად არსებობს მაგალითები, მოდელები, იმისა, რომ ბანაკებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები რამოდენიმე დღის განმავლობაში ცხოვრობენ ერთად და მათი

საკომუნიკაციო ენა არის ქართული. ახალგაზრდები, მაშინ, როცა სახელმწიფო ენაზე საუბრობენ თავს სრულფასოვან მოქალაქედ სახელმწიფოსგან არის მაგალითი, ბანაკებში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი ერთად და მერე სახელმწიფო ენაზე საუბრობენ სრულფასოვან მოქალაქედ გრძნობენ, ერთი-ერთმა რესპონდენტმა, რომელიც მონაწილეობდა მსგავ ბანაკში, გვითხრა, რომ შეიძინა მეგობრები სხვადასხვა სოფლებიდან და მათი საკომუნიკაციო ენა არის ქართული.

„მიხარია, რა თქმა უნდა, ქართული ენა ეს ხომ ჩვენი ენაა, მე ვფიქრობ, რომ ვარ ქართველი და მიხარია, როცა ვსაუბრობ ქართულად და ვმეგობრობ თბილისში იქაურებთან და ვარ აქტიური მოქალაქე.“ გუნეი - 29 წლის

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართვა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ჩვენი ქვეყნისათვის. ამიტომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში შეიქმნა საზოგადოებრივი საკოსულტაციო საბჭოები, სადაც ადგილობრივებს ექნებათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის დაგეგმვაში, ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე და გამოხატონ მოსაზრებები რეგიონის განვითარების შესახებ. რეგიონალურ საბჭოების შექმნა იყო 1+4 პროგრამის სტუდენტების ინიციატივა, მათ სურთ თავიანთი ცოდნა მოახმარონ რეგიონის განვითარებას და იმ ადამიანების ინტეგრაციის ხელშეწყობას, რომლებიც თემში დარჩა. ეს არის უმნიშვნელოვანესი ინიციატივა, რადგან ამით შეიქმნება წარმატებული ახალგაზრდების მოდელები და ეს მოახდენს განათლების, ენის შესწავლის, კარიერული წინსვლის პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვანია ის გონებრივი კაპიტალი, რაც ახალგაზრდებშია, განვითარდეს და მოხმარდეს დანარჩენი, იზოლირებული ლოკაციების ინტეგრაციას. ვფიქრობ, სწორედ მათი ჩართვით არის შესაძლებელი იმ სოფლებს მივაწვდინოთ ხმა, რომლებიც მოშრეულია მუნიციპალური ცენტრებიდან და ინფორმაციის ვაკუუმშია.

კონფლიქტური სიტუაციები და კონფლიქტების ტიპოლოგია

კონფლიქტების თეორიებში მრავალი სახის კონფლიქტზეა საუბარი, კონფლიქტების ტიპები დამოკიდებულია კონფლიქტების წყაროებზე, ანუ გამომწვევ მიზეზებზე. ტექსტის წინამდებარე ნაწილში შევეცდები, ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციით განვიხილო, თუ რა სახის კონფლიქტებს ვხვდებით ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სხვა ეთნიკის წამომადგენელთა შორის.

კვლევის მონაწილეები თავს არიდებენ კონფლიქტურ სიტუაციებზე საუბარს, რომელშიც ისინი აღმოჩენილან არააზერბაიჯანულ ეთნიკურ ჯგუფებთან. თუმცა, ერთ-ერთ ჯგუფურ ინტერვიუში, რომელიც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, 55 წლის მამაკაცი გვესაუბრა იმაზე, რომ ქართველების დამოკიდებულება აზერბაიჯანელების მიმართ წლების განმავლობაში იყო გულდასაწყვეტი, ის, რომ მათ „თათრებად“ და „მემწვანილეებად“ მოიხსენიებდნენ და ეს ხშირად უთანხმოების მიზეზი გამხდარა. ის ცდილობდა სიტყვა „კონფლიქტი“ არ ეხსენებინა, ვფიქრობთ, არ სურდა გაემწვავებინა მისი აზრი ამ უთანხმოებებთან დაკავშირებით.

„ჩვენ თათრები არ ვართ, ჩვენ აზერბაიჯანელი ქართველები ვართ, ის, რომ მე ქართულად ვერ ვსაუბრობ არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი არა ვარ. მეც ვიცი, რომ კარგია ქართული, რომ ვიცოდე, ვცადე კიდევ სწავლა, მაგრამ არ გამომდის, რა გავაკეთო. კი მწვანისაც ვყიდდი ბაზარში, ჩამომქონდა სოფლიდან, მაგრამ მე ეგ დროც კარგად მახსენდება, ამის გამო არავინ უნდა იფიქროს, რომ ცუდი ვარ.“ ემილი-59წლის

შეიძლება ითქვას, რომ საუბარია ურთიერთდამოკიდებულებებთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე. ამ ტიპის კონფლიქტები მაშინ წარმოიქმნება, როდესაც რომელიმე მხარეს უჩნდება განცდა, რომ მას სათანადოდ არ აფასებენ. შესაძლოა, ეს განცდები არც არის რეალური, თუმცა, ემოციური ფონი ძლიერია და ეს იწვევთ უთანხმოებას პიროვნებებსან ჯგუფებს შორის.

ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამაც, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ ჯგუფში არ საუბრობდნენ კონფლიქტურ სიტუაციებზე ეთნიკურად ქართველებთან, რაზეც გვესაუბრებოდნენ იმ ჯგუფში, რომელიც შედარებით დიდი ასაკის ადამიანებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულად. ახალგაზრდები გვეუბნებოდნენ, რომ გაუგიათ უფროსი თაობისგან, რომ მათი ჯგუფის წევრებს მოიხსენიებდნენ „თათრებად“ საქართველოში, თუმცა, ასევე აღნიშნავდნენ, რომ მათ არ ჰქონიათ მსგავსი შემთხვევა და მათ მიმართ დამოკიდებულება უნივერსიტეტებში და სამსახურებში ლოიალურია. თუმცა, აღსანიშნავია, კროსკულტურული ფაქტორის გავლენაც, ერთი კულტურისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები უფრო სწრაფად პოულობენ საერთო ენას. რესპონდენტები გვეუბნებიან, რომ პირველ ეტაპზე ისინი მაინც მათი ჯგუფის წევრებთან იწყებენ ურთიერთიერთობას, რასაც ხსნიან იმ კომპლექსით, რაც მათი ენობრივი კომპეტენციისგან გამომდინარეობს. იხსენებენ ფაქტებს, როდესაც მათი ქართულის გამო უთანხმოება მოსვლიათ თანატოლებთან, თუმცა, ამას არ აღიქვამენ პრობლემად.

„აი, მაგალითად, მე სამსახურში მქონდა შემთხვევა, რაღაც ვუთხარი ჩემს ქართველ თანამშრომელს, ის უცებ გაგიჟდა, და მითხრა, ეგრე ნუ მელაპარაკები, მე ვერ მივხვდი რა ხდებოდა, არ მახსოვს, ზუსტად რა ვუთხარი. მერე გავარკვიეთ, რომ მე თურმე სხვა რაღაც ვიგულისხმე, მაგრამ ქართულად სხვანაირად ვთქვი. (იცინის). ასე იყო, მერე ბევრი ვიცინეთ, მაგრამ უცებ კი ვინერვიულე.“ ილგარ - 30 წლის

როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს ინფორმაციასთან დაკავშირებულ კონფლიქტებთანაც, რისი მიზეზიც ხდება დამახინჯებული, არასწორი ან არასაკმარისი ინფორმაცია. კონფლიქტის ამ ტიპს ხშირად ვხვდებით განსხვავებულ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა შორის. როგორც წესი, ასეთი კონფლიქტები გვარდება ინფორმაციის დაზუსტებით.

ასევე, აღსანიშნავია ღირებულებებთან დაკავშირებული კონფლიქტები, რომლებიც, ცხადია, ხშირია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ღირებულება ხომ საზომია ჩვენთვის, თუ არის სწორი და რა არასწორი, მორალური და ამორალური, კარგი და ცუდი. მსგავსი

კონფლიქტები, როგორც წესი, გვარდება იმის გაცნობიერებით, რომ ღირებულებები უნიკალურია და ყველა კულტურას თავისი შეუცვლელი უნივერსალური ღირებულებები გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია ერთმანეთს შევადაროთ ჩვენი კულტურული წესები და ჩვენი კულტურის აღმატებულობის პოზიციიდან შევაფასოთ სხვა კულტურა.

სოციალიზაციის ბარიერები

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სოციალიზაციის პროცესის ბარიერებია: სახელმწიფო ენის არ ცოდნა, მეორე კომპონენტი არის არასწორი ინფორმაციის მიწოდება და საინფორმაციო არხების გაუმართაობა, მესამე - განათლების დაბალი ხარისხი, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს სოციალიზაციის და მათი ინტეგრაციის პროცესებს.

„წლების განმავლობაში ჩვენი განათლების სისტემა მიეჯაჭვა ჩვენი მეზობელი ქვეყნების განათლების სისტემას და იქიდან შემოტანილ სახელმძღვანელოებს, რომლებშიც ეწერა, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების სამშობლოს დედაქალაქი არის ბაქო, ისინი ამას აზერბაიჯანულად სწავლობდნენ და მათ ეს ჩაებეჭდათ გონებაში, მიეჯაჭვნენ ეთნიკურობას, სკოლის ექსკურსიების მხრივ ის მხარე უფრო აქტიური იყო, ანუ მიდიოდნენ ბაქოსკენ და არა თბილისისკენ.“ ლია გიგაური-საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

განათლების დაბალმა ხარისხმა, განათლების პოლიტიკის არასწორმა დაგეგმვამ, უპასუხისმგებლო მიდგომამ, პედაგოგების მომზადების დაბალმა დონემ, ამ პედაგოგების ემოციურმა კავშირებმა მეზობელ ქვეყნებთან და ამ განწყობების შესაბამისად მათმა მიწოდებულმა ინფორმაციებმა ეთნიკური უმცირესობების სოციალიზაციის ბარიერები შექმნეს.

„სოციალიზაციას სამოქალაქო აქტივობები უწყობს ხელს, თუ შენ სახლი-სკოლა-სახლის რეჟიმზე ხარ და ამით ამთავრებ, შენ სოციალიზაცია გიჭირს იმ ჩაკეტილ თემშიც კი არათუ შენი ქვეყნის საზოგადოებაში. ასეთი ძალიან ბევრი სოფელი იყო და იქ აქედან დაბრუნებული ბავშვების და სახელმწიფო პროგრამის მასწავლებლების წყალობით,

რომელსაც კლუბების შექმნა ევალუბათ და სამოქალაქო განათლების პროგრამის კომპონენტები სადაც შევიდა, ყველაგან დაიდრა ეს პროცესები. ერთ სოფელში რომ დაიდრა, მერე გვერდით სოფლებშიც გამოიწვია ეს ინტერესი, რომ ენახათ, რას ვაკეთებდით. ფიქრობდნენ, მოდი, გავიხედო გარეთ, რომ მხოლოდ ოჯახის შიგნით რაც ხდება ეგ არ არის საკმარისი.“ ლია გიგაური-საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებები და პრიორიტეტები ყველა დონეზე სწორად უნდა იყოს გააზრებული და შესაბამისი აქტივობებით განმტკიცებული.

მაგალითისთვის შეგვლია ავიღოთ სართიქალა, სადაც არის შერეული ქართულ-აზერბაიჯანული სკოლა ქართული და აზერბაიჯანული სექტორით. ერთ სართულზე სწავლობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, თუმცა, მათ ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ. მასწავლებლებისაც კი აქვთ კომუნიკაციის პრობლემა, სამასწავლებლოში ცალკე სხდებიან აზერბაიჯანელები და ცალკე ქართველები. ისინი ცხოვრობენ ერთ სოფელში და სოფელიც დაყოფილია აზერბაიჯანულ და ქართულ უბანად. ანუ, სოფლის და სასკოლო თემის შიგნით სოციალიზაციის პრობლემა. დირექტორს ჰქონდა მცდელობა ხელი შეეწყო ურთიერთობებისთვის, თუმცა ის არის ეთნიკურად ქართველი და ეს მას უცხოდ აქცევს ეთნიკურად აზერბაიჯანელებისთვის. მსგავსი პრობლემა არ გვაქვს თბილისში, სადაც საზოგადოება უფრო ღიაა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან დიალოგისთვის.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, ქალბატონი ლია გიგაური გვეუბნება, რომ ეს პრობლემა შეიძლება იყოს გამოწვეული ისეთი ლიდერობის ნაკლებობით, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, რომ ამ პროცესების ხელშემწყობი გარემო შექმნან და ორგანიზება გაუწიონ და ჩაატარონ აქტივობები, რომელშიც ორივე ეთნიკური ჯგუფი მიიღებს მონაწილეობას. ლიდერმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა პროცესების სწორად დაგეგმვის და თანაბარი, ჯანსაღი გარემოს შექმნის.

ჯანსაღი გარემოს მაგალითი არის მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ წოფის სკოლა, სადაც ეთნიკურად სომეხი და ეთნიკურად აზერბაიჯანელი ჯგუფები ერთად სწავლობენ, ეს არის პატარა სოფელი, რომელშიც შერეული ოჯახებია. შეიძლება ითქვას, რომ თუკი დაიწყება კომუნიკაცია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის, იქ პრობლემა აღარ გაქვს ინტეგრაციის. მთავარია, გადაიდგას ნაბიჯები, რომ ეს ჯგუფები უცხონი არ იყვნენ ერთმანეთისთვის. 1+4 საგანმანათლებლო პროგრამის შედეგად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები სწავლობენ არა მხოლოდ ქართულს, არამედ ქართულ ჯგუფებს და ისინი აღარ არიან ერთმანეთისთვის უცხონი და შესაბამისად, უცნაურნი.

„მე ერთი წელი ვისწავლე ქართული, ეხლა ვსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისურ ფილოლოგიას, პირველი წელი არ ვკონტაქტობდი ქართველებთან, მაგრამ როგორც კი დავრწმუნდი იმაში, რომ ქართულად შემეძლო საუბარი, გავხდი აქტიური და ეხლა მყავს ქართველი მეგობრები. ჩემს ჯგუფში აზერბაიჯანელებიც არიან, მაგრამ მე საერთო ენა 3 ქართველ გოგოსთან გამოვინახე, მეგობრობა ხომ ეროვნულობაზე არ არის დამოკიდებული, არამედ იმაზე, ვინაა შენს სულთან ახლოს“
გოზელი - 22 წლის.

1+4 საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება პოზიტიურად აღვწეროთ, რადგან რეალურ პოზიტიურ შედეგებს ვხედავთ, მაგრამ აქაც არის პრობლემა რამოდენიმე უნივერსიტეტში. მაგალითად, 1+4 პროგრამის სტუდენტები ცალკე ჯგუფად ჰყავთ და მათ არ აქვთ კომუნიკაცია დომინანტი ჯგუფის წარმომადგენლებთან, შესაბამისად სოციალიზაციის და ქართველ სტუდენტებთან ინტეგრაციის პროცესი გართულებულია. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებები და პრიორიტეტები ყველა დონეზე სწორად უნდა იყოს გააზრებული. ყველას უნდა ესმოდეს, როგორი მნიშვნელოვანია ეს ამოცანა ჩვენი სახელმწიფოსთვის.

2.3.2. კვლევის შედეგების შეჯამება

ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელსაც თვისებრივი მეთოდით ჩატარდა, გამოვლინდა, რომ ისეთი ფაქტორები, სახელმწიფო ენის ცოდნა და სოციალიზაცია, სამოქალაქო ინტეგრაცია პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან. საქართველოში სწორედ ქართული ენის ცოდნა განაპირობებს ინფორმირებულობის დონეს და შესაბამისად წარმატებას კარიერაში, განათლებაში თუ საქმიანობის სფეროში. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებში, როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში ინტერესი ქართული ენის მიმართ საგრძნობლად გაზრდილია, თუმცა, დადასტურდა ის, რომ აზერბაიჯანულ თემში სოციალიზაციის ბარიერებს წარმოადგენს ის სტერეოტიპები და ტრადიციებით შეფუთული ურთიერთობები, რაც სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის გვხვდება. ეს სტერეოტიპები უფრო და უფრო ძლიერდება ისეთ ლოკაციებში, რომელიც მოწყვეტილია მუნიციპალურ ცენტრებს და სახელმწიფო მნიშვნელობის გზებს.

ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამაც, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ ჯგუფში არ საუბრობდნენ კონფლიქტურ სიტუაციებზე ეთნიკურად ქართველებთან, რაზეც გვესაუბრებოდნენ იმ ჯგუფში, რომელიც შედარებით დიდი ასაკის ადამიანებით იყო დაკომპლექტებული, რომლებიც ვერ საუბრობენ ქართულად. ახალგაზრდები გვეუბნებოდნენ, რომ გაუგიათ უფროსი თაობისგან, რომ მათი ჯგუფის წევრებს მოიხსენიებდნენ „თათრებად“ საქართველოში, თუმცა, ასევე აღნიშნავდნენ, რომ მათ არ ჰქონიათ მსგავსი შემთხვევა და მათ მიმართ დამოკიდებულება უნივერსიტეტებში და სამსახურებში ლოიალურია. თუმცა, აღსანიშნავია, კროსკულტურული ფაქტორის გავლენაც, ერთი კულტურისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები უფრო სწრაფად პოულობენ საერთო ენას. რესპონდენტები გვეუბნებიან, რომ პირველ ეტაპზე ისინი მაინც მათი ჯგუფის წევრებთან იწყებენ ურთიერთიერთობას, რასაც ხსნიან იმ კომპლექსით, რაც მათი ენობრივი კომპეტენციისგან გამომდინარეობს.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის მოგვარების გზები უნდა ვეძებოთ ახალ თაობაში. ეთნიკურად ქართველი ახალგაზრდები

კეთილგანწყობილნი არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მიმართ. მათთვის ქართველობა არ არის პირდაპირ კავშირში ეთნიკურობასთან და რელიგიურ მრწამსთან და ისინი იღებენ განსხვავებულ კულტურას და ცდილობენ დაინახონ განსხვავებულობა პოზიტიური კუთხით და იპოვონ საერთო ეთნიკურად აზერბაიჯანელ ახალგაზრდებთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ეს სიტუაცია არის თბილისში და სხვა დიდ ქალაქებში და არა რეგიონებში, სადაც ისევ ძლიერია ეთნიკური სტერეოტიპები.

სახელმწიფო პოლიტიკაც მიმართული ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობისკენ, ის პროექტები, რომელსაც სხვადასხვა სტრუქტურები ახორციელებს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშესაწყობად. მთავარია, ეს პოლიტიკა გააზრებული იყოს ყველა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ დონეზე.

საბოლოო ჯამში, ჩატარებული კვლევის გაანალიზების შედეგად, დადგინდა, რომ ქართული ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელს ეხმარება საქართველოსთან ემოციური ბმის შექმნაში, თვითკომპლექსების დაძლევაში ურთიერთობებისას, სამოქალაქო ინტეგრაციასა და სრულყოფილ სოციალიზაციაში. დღეს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქართველი ახალგაზრდები საკუთარ მომავალს ხედავენ საქართველოში. მათ დაინახეს პრობლემა, რომელიც იყო სახელმწიფო ენის არ ცოდნით გამოწვეული და ცდილობენ მოაგვარონ ის, შემდეგი ნაბიჯი კი ვფიქრობთ ჩვენზეა, ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე. ჩვენ უნდა ვადიაროთ ისინი ჩვენს საზოგადოებაში.

2.4. დასკვნა

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული და ეს არის სამოქალაქო ინტეგრაციის ენა. ქართული ენა არის ადამიანური კაპიტალის განვითარების პირველადი შესაძლებლობა და შედეგად ვიღებთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სრულფასოვან სოციალიზაციას დომინანტურ კულტურაში. გატარებული პოლიტიკის შედეგები ნამდვილად სახეზეა, დღეს უფრო მეტი ახალგაზრდა საუბრობს ქართულ ენაზე, ან ცდილობს ისაუბროს. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები გამარტივებული ქართულით იღებენ უმაღლეს განათლებას. სამინისტრო შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში აქტიურად თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო უწყებებთან და გეგმავენ სხვადასხვა სასწავლო, საგანმანათლებლო, საინფორმაციო პროექტებს, რათა ეროვნულ უმცირესობებში მოხდეს ქართული ენის პოპულარიზაცია, რადგან ქართული ენის ცოდნა არის თვითრეალიზაციის და წარმატების მთავარი ფაქტორი.

მთავარ გამოწვევად რჩება ლოკალურად პრობლემის მოგვარება და სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ყველა დონეზე. სახელმწიფო პოლიტიკის გადაწყვეტილებები და პრიორიტეტები ყველა დონეზე სწორად უნდა იყოს გააზრებული და ყველას უნდა ესმოდეს როგორი მნიშვნელოვანია ეს ამოცანა ჩვენი სახელმწიფოსთვის.

უმნიშვნელოვანესია საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების დისკრედიტაცია წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, სხვადასხვა ძალები ცდილობდნენ ეთნიკურად არაქართული მოსახლეობისგან შეექმნათ მტრის ხატი და დაენახათ საფრთხე, რომელიც ქართულ კულტურას შეცვლიდა, დააკნინებდა. მნიშვნელოვანია, საზოგადოების თითოეულმა წევრმა გაიაზროს იმ მრავალფეროვნების ხიბლი, რაც აქვს მულტიკულტურულ საზოგადოებაში ცხოვრებას. კულტურები განიცდიან ცვლილებებს და ეს ნორმალურია, კულტურები სულ და მუდამ იცვლებიან, თუმცა, ეს უნდა მოხდეს მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობით, ინტეგრაციით და არა სტიგმატიზებითა და სხვა ეთნიკური ჯგუფის გარიყვით.

ეთნიკური უმცირესობების აღიარება და მათი ჩართვა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრება პირდაპირ არის კავშირში საქართველოს დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასთან. მოსახლეობის 13,2 %-ის ინტელექტუალური კაპიტალი არის ის, რაც არ უნდა დაიკარგოს.

ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში არის მზაობა და სურვილი, რომ ეკუთვნოდნენ საქართველოს, როგორც პოლიტიკურ ერთობას და აღიარებდნენ მას. მათ სურთ, რომ „ქართველობა“ ცდებოდეს ეთნიკურ წარმომავლობას და რელიგიურ მიკუთვნებულობას. ისინი იაზრებენ, რომ მათი სამშობლო არის საქართველო. მათ ემოციური ბმა აქვთ საქართველოსთან და არა აზერბაიჯანთან.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ქართული ენის ცოდნა პირდაპირ კავშირშია ეთნიკური აზერბაიჯანელების პოლიტიკურ ჩართულობასთან, განათლების სურვილთან, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებასთან და ამ ბალანსის შედეგად ვიღებთ ინტეგრირებულ, სოციალიზებულ ერთობას, რომელიც უმნიშვნელოვანესი ნაწილია სახელმწიფოსი და ქართული კულტურის. დღეს აზერბაიჯანელი ახალგაზრდების უმრავლესობა სწავლას სწორედ ქართულ უნივერსიტეტებში აგრძელებენ, აქვთ სურვილი იმუშაონ ქართულ კომპანიებში, საჯარო სამსახურებში, თავადაც აარსებენ არასამთავრობო ორგანიზაციებს და ცდილობენ წვლილი შეიტანონ მათი ჯგუფის სხვა წევრების სოციალიზაციის პროცესში. სწორედ ისინი ხდებიან ის წარმატების მოდელები, რომელსაც სურთ მიზამონ სოფელში დარჩენილმა ახალგაზრდებმა. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის პოლიტიკური მონაწილეობა ჯერჯერობით მაინც სუსტია და ეს არის დიდი გამოწვევა სახელმწიფოსთვის. ასევე, ჯერ კიდევ პრობლემატურია ზოგადი განათლების ხარისხი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხი - ენობრივი კომპეტენცია, ზოგადი განათლება, პოლიტიკური ჩართულობა, სამოქალაქო ცნობიერება, სოციალური ინტეგრაცია, სოციალიზაცია ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. აზერბაიჯანული თემის მხრიდან აშკარად შეიმჩნევა მზაობა და სურვილი, რომ თავი აღიქვან საქართველოს ნაციონალური და პოლიტიკური სივრცის ნაწილად, თუმცა, ეს არ შეიმჩნევა საზოგადოების ქართულ

ნაწილში. ინტეგრაცია კი ცალმხრივი არ შეიძლება იყოს, საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურად ქართული ნაწილი უნდა აღიარებდეს სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და არ უნდა ცდილობდეს მათ გარიყვას ან დაკნინებას. პირიქით, ეთნიკური ჯგუფების მრავალგვარობა უნდა აღიქმებოდეს საქართველოს პრიორიტეტად. აუცილებელია, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების კულტურა შევავასოთ კულტურული რელატივიზმის თვალთახედვით. კულტურა უნდა გავიგოთ მხოლოდ ამ კულტურის ღირებულებების, ნორმების, ტრადიციების ანალიზის საფუძველზე და ამ კულტურის კონტექსტში და არა კულტურათა შედარების საფუძველზე. არ არსებობს სანიმუშო კულტურა ან უნივერსალური ღირებულებები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება გაიტესტოს კულტურების ვარგისიანობა. თითოეული კულტურა არის უნივერსალური, უნიკალური და შეუცვლელი ღირებულების მქონე და მულტიკულტურული საზოგადოების მშვიდობიანი თანაარსებობა არის ჩვენი პასუხი, იმათ მიმართ, ვინც ქართულ, ტრადიციულ, კონსერვატიულ კულტურას აკნინებს და ფიქრობს, რომ ის ზედმეტად ჩაკეტილია.

2.5. რეკომენდაციები:

სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით საკმაოდ აქტიურია და შეიძლება ითქვას, რომ შედეგები სახეზეა. ახალგაზრდა თაობას აქვს ემოციური ბმა საქართველოსთან, თუმცა, ინტეგრაციის პროცესი ცალმხრივი არ შეიძლება იყოს. ეთნიურად ქართველი მოსახლეობის დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობების მიმართ შეიძლება ითქვას, რომ ნაკლებად პოზიტიურია. მართალია, კომუნიკაცია და ის პროექტები, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები ერთმანეთთან ურთიერთობენ, სიტუაციას აუმჯობესებს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით ნაბიჯები მაინც გადასადგემელია. ამის გათვალისწინებით ვფიქრობთ აუცილებელია შემდეგი კომპონენტების გაძლიერება:

- ❖ სკოლამდელი განათლების პოლიტიკის გააქტიურება აზერბაიჯანულ თემში;
- ❖ ქართველ პედაგოგთა გადამზადება ინტერკულტურული და ინტერკონფესიური კომპონენტების გათვალისწინებით როგორც ეთნიკური უმცირესობის, ასევე უმრავლესობის ჯგუფებში;
- ❖ ზოგადი განათლების პროგრამაში ტოლერანტობის კულტურის გაძლიერებისკენ მიმართული აქტივობები და შესაბამისი სახემძღვანელოების შემუშავება როგორც ეთნიკური უმცირესობის, ასევე უმრავლესობის ჯგუფებში;
- ❖ რელიგიური, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პოზიტიური კუთხით წარმოჩენის ხელშეწყობა როგორც ეთნიკური უმცირესობის, ასევე უმრავლესობის ჯგუფებში;
- ❖ გამომდინარე გენდერული სტერეოტიპებიდან აზერბაიჯანულ თემებში შეიქმნას ქალთა კლუბები, სადაც გაიმართება ინფორმაციული და საგანმანათლებლო შეხვედრები;
- ❖ საგანმანათლებლო სივრცეებში გაიზარდოს მულტიკულტურული განათლების მხარდამჭერი პროგრამები როგორც ეთნიკური უმცირესობის, ასევე უმრავლესობის ჯგუფებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Simmel, Georg (1971) 'The Stranger'. In D. Levine (ed.), Georg Simmel. Chicago: *University of Chicago Press*; pp. 143-149.
2. Merton, R. (1968). "Social Theory and Social Structure". New York: The Free Press.
3. Smith, Anthony D (1991). "National Identity". *University of Nevada Press*, (თარგმანი: ენტონი დ. სმიტი „ნაციონალური იდენტობა“ ლოგოს პრესი, თბილისი 2008 , გვ. 3-8)
4. Eco, Umberto, „COSTRUIRE IL NEMICO, E ALTRI SCRITTI OCCASIONALI“ (2009) Milan. (თარგმანი - ეკო, უმბერტო (2015) „მტრის ხატის შექმნა“. თბილისი „დიოგენე“)
5. Turner, V. W. (1964). *Betwixt and Between: The Liminal Period in Rites De Passage* (pp. 4-20). *The Proceedings of the American Ethnological Society Symposium on New Approaches to the Study of Religion*. The University of Washington Press.
6. Sewell, W. H. (1999). The Concept(s) of Culture. Bonell, V. E. and Hunt, L. (eds.). *Beyond the Cultural Turn: New Directions in the Study of Society and Culture*. Berkley, Los Angeles, London: University of California Press (მთარგმნელები: ანი გიორგაძე, ხატია ნადარაია).
7. Jenkins, R.(1997). *Rethinking Ethnicity: Arguments and explorations*, Sage Publications, London
8. Stewart, W. A. (1968) A Sociolinguistic Typology for Describing National Multilingualism, in *Readings in the Sociology of Language*, The Hague, Paris: Mouton.
9. Hymes, D., *The Ethnography of Speaking*, in *Anthropology and Human Behaviour*, Washington 1962, p. 14.
10. Gumperz, J., (1968) *The Speech Community*, in *International Encyclopedia of the Social Sciences*, Macmillan, London.
11. Fishman, J., (1972). *Language and Nationalism*, Washington.
12. Ortner, S. B. (1984). *Theory in Anthropology Since the Sixties*. *Comparative Studies in Society and History*.

13. Sdr. Barth, (1969.) *Ethnic Groups and Boundaries: The Social Organization of Culture Difference*, Universitetsforlaget, Oslo.
14. Benedict, Ruth (1943). "Franz Boas". *Science* pp. 60–62.
15. Weinrich, U., (1953) *Languages in Contact: Findings and Problems*, New York,.
16. Sdr. Haugen, (1973) „Bilingualism, language contact and immigrant languages in the United States”, in *Current Trends in Linguistics*, Mouton, The Hague.
17. McAfee, Christina (2004) "The Linguistic Relativity Theory and Benjamin Lee Whorf," *The McMaster Journal of Communication* Vol.
18. კაპაი, გაბრიელე, (2000). “ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ: თეორიული წინამძღვრები და გამოყენების ხერხები.” (თარგმანი წიგნიდან: Gabriele Cappai. 2000. *Fra realtà locale e processi globali. Emigrazione, associazionismo ed identità nelle società multikulturali*. Halle/Saale: Hallescher Verlag).
19. Camilleri C. & Malewska-Peyre. (2nd ed.). (1996). *Socialization and Identity Strategies* (pp. 43-64). (მთარგმნელი: ნინო მაჭარაშვილი)
20. Berry, J.W., Poortinga, Y. H., & Pandey, J. (eds.). *Handbook of Cross-Cultural Psychology*. Vol. 2.
21. ბალიაშვილი, მ. (2013). *სოციალური ფსიქოლოგიის დაწყებითი კურსი*. თბილისი: "მწიგნობარი".
22. ლადარია, ნოდარ, (2002) *სოციოლინგვისტიკა*, თბილისი.
23. ზურაბიშვილი, თ. (2006). "თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში". თბილისი.
24. კაჭკაჭიშვილი, იაგო, (2001) “სოციალური მოქმედების თეორია”, თბილისი, მეცნიერება.
25. კაჭკაჭიშვილი, იაგო, (2008), „სოციალური თეორია“ თბილისი.

26. თევზაძე, გივი. (2002) „ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია“, მეცნიერება, თბილისი.
27. ზურიკაშვილი ფ., მალრაძე გ., ჭანიშვილი ნ., ხუციშვილი გ., ჯორბენაძე რ. (2003). „კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა. თბილისი: "პოლიგრაფი".
28. ბარბაქაძე, ლია, (2013) „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“ თბილისი.
29. აბაშიძე, ზვიად (2011) „ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი საქართველოში“. თბილისი.
30. სარჯველაძე, ჯ, (2007) „ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა“ ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი, თბილისი. Retrieved 25/06/2019, from <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1057>
31. ედუარდ კოდუა და სხვ. (2004) სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი, ლოგოს პრესი, Retrieved 10/06/2019, from <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=7048>
32. - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2014 წლის საყოველთაო აღწერა. Retrieved 25/06/2019, from <https://www.geostat.ge/ka>
33. თადიაშვილი, ქ. (2017) „ქართველობის და საქართველოს კონსერვაციის (შენარჩუნების, დაცვის) პოლიტიკა“ Retrieved 20/06/2019, from <http://european.ge/qartvelebis-dacvis-politika/>
34. „რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ“ ოქტაი ქაზუმოვი, გიორგი სორდია, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი. Retrieved 02/07/2019, from <https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbaijanelebis-shehexeb>
35. სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ვებ გვერდი. Retrieved 07/07/2019, from <http://www.zspa.ge/geo/page/119>

36. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ვებ გვერდი. Retrieved 07/07/2019, from <http://smr.gov.ge/FileList.aspx?ID=34>
37. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამა" Retrieved 10/07/2019, from <http://smr.gov.ge/detailspage.aspx?ID=56>

დანართი 1: ინტერვიუების სადისკუსიო გეგმა (გაიდლაინი)

ეთნიკური უმცირესობის ენობრივი კომპეტენციები და სოციალიზაციის პროცესი

ქვემო ქართლის აზერბაიჯანული თემი

გამარჯობა! მე ვარ ნათია სულავა.

სამაგისტრო კვლების ფარგლებში ვატარებ სოციოლოგიურ კვლევას მარნეულში და მიმდინარე სოფლებში. კვლევის მიზანია ეთნიკური უმცირესობების ენობრივი კომპეტენციების კვლევა ამ რეგიონში და ქართული ენის ფაქტორის კვლევა მათი სოციალიზაციის პროცესში.

გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ ჩვენს შეკითხვებს. თქვენი პასუხები გამოყენებული იქნება განზოგადებული სახით, კვლევის ანგარიშში თქვენი სახელი და გვარი არ დაფიქსირდება.

თქვენგან მიღებული ინფორმაციის საიდუმლოება დაცული იქნება კანონით "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ", 28-ე მუხლის საფუძველზე.

- ❖ გაგვეცანით, თქვენი სახელი, ასაკი.
- ❖ რითი ხართ დაკავებული?
- ❖ განათლება, საქმიანობა.
- ❖ რა ენებს ფლობთ?
- ❖ რა დონეზე იცით ქართული ენა?
- ❖ გიცდიათ თუ არა ქართული ენის სწავლა? (რუსულენოვან ჯგუფში)
- ❖ რამ შეგიშალათ ხელი? (რუსულენოვან ჯგუფში)
- ❖ რა ენაზე საუბრობთ ოჯახში?
- ❖ სკოლაში რა ენებს სწავლობდით?
- ❖ თქვენი ოჯახის წევრები საუბრობენ თუ არა ქართულად?
- ❖ ქართული ენის არ ცოდნის გამო თუ გექმნებათ რაიმე სახის დისკომფორტი?
- ❖ ქართული ენის არ ცოდნის გამო გაქვთ თუ არა უხერხულობის განცდა?

- ❖ ქართული ენის არ ცოდნას შეუშლია თუ არა ხელი წარმატებაში?
- ❖ ქართული ენის ცოდნა თუ დაგხმარებიათ წარმატების მიღწევაში?
- ❖ ქართული ენასთან შეხება რა ასაკიდან გაქვთ?
- ❖ დღესდღეისობით გაქვთ თუ არა აუცილებლობა ქართული ენის სწავლის?
- ❖ როგორ შეაფასებდით ქართული ენის როლს ადრე და ახლა?
- ❖ გამხდარა თუ არა ქართული ენის არ ცოდნა კონფლიქტის მიზეზი? რა ვითარებაში? სად?
- ❖ დაგხმარებიათ თუ არა ქართული ენის ცოდნა კონფლიქტის დროს?
- ❖ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში გეხმარებათ თუ არა ქართული ენის ცოდნა?
- ❖ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში გექმნებათ თუ არა პრობლემა ქართული ენის არ ცოდნის გამო?

დანართი 2: სატიტულო ფურცელი (ინგლისური თარგმანი)

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Natia Sulava

**Georgian language as a factor
in the process of socialization of ethnic minorities**

Master Program in Conflict Analysis and Management of the Faculty of Social and
Political Sciences

A Thesis is submitted in fulfillment of the requirements for the Degree of Master of
Conflict Analysis and Management

Head: Guguli Maghradze, Associate Professor of faculty of Social and Political Sciences

Tbilisi, 2019